

45
1973/2

# საქართველოს ქალი

ნოემბერი
№ 11 1973 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის შექმნასა და დამკვიდრებაში, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებაში საქართველოს მშრომელთა დამსახურებისათვის, კომუნისტური მშენებლობის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით.

5 ოქტომბერს საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.



საქართველოს სს რესპუბლიკის დროშაზე ორდენს ამაგრებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო.

ფოტო ვ. გინზბურგისა

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

იროდიონ ევდოშვილი

# მეგობრებს

მეგობრებო, წინ... წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე, მკერდს სისხლის დალი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული!

წინ, წინ, მედგრად შევებრძოლოთ
ჩარხუკუღმართ ამ ჩვენ დროსა,
ჭირის ოფლში გავატაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა!

დეე, ჩვენ ტოლთ, უგვანო შვილთ,
კერპის წინა ხარონ ქედი,
ფუ, იმ ვაჟკაცს, ვინც ინატროს
მათი სვე და მათი ბედი!

დე, ისევ მათ ავარჯიშონ,
საქვეშძრომოთ მკლავი, ენა,
სხვა აკვნესონ და ამ კვნესით
თვით იპოვონ შვება, ლხენა...

მომავალი იმათ თვის ხვედრს
წარმოუძლვნის, დასდებს მსჯავრსა,
შეაჩვენებს იმათ საფლავს
სამარცხვინოს, საზიზღარსა!

მეგობრებო, ჩვენ ნუ გვინდა
ამნაირი სვე და ბედი,
ბრძოლა იყოს ჩვენი ლხინი,
სატრფიალოთ გულს იმედი!

მაშ, უშიშრათ შევებრძოლოთ
ჩარხუკუღმართ ამ ჩვენ დროსა
და ჩვენ რაზმს წინ წავუმძღვაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა!

1895 წ.



1914 წ. იროდიონ ევდოშვილს საკუთარ ლექსს უკითხავს გოგუცა კუპრაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მარცხნიდან: იროდიონ ევდოშვილი, მიო მღვიმელი, ბაჩანა, თედო, ხანდრო, ლუკა (ვაჟა-ფშაველა) რაზიკაშვილები და ვაჟას შვილი ლევანი.

# ქალი და დედა იროდიონ ევდოშვილის პოეზიაში

(პოეტის დაბადების 100 წლისთავისათვის)

რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის სახელოვანი წარმომადგენლის, ბელეტრისტისა და საზოგადო მოღვაწის, პოლიტიკური და სოციალური თავისუფლებისათვის მებრძოლი პოეტის — იროდიონ ევდოშვილის შემოქმედებაში მკვეთრად აისახა ქართველი დედისა და, საერთოდ, ქალის მებრძოლი, კეთილშობილური ნათელი სახე, მისი მოწოდება და დანიშნულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამის საუკეთესო პოეტურ ნიმუშს წარმოადგენს ლექსები: „ნანა", „ვუძლვნი დედებს", „აკვანთან", „გულის ტოლო", „ტკბილი წარსული", „დედის მოთქმა", „ახალი ნანინა", „რათ სტირი დედავ, ყოველ ახალ წელს", „დედას", „დედა" (ვუძლვნი ეკ. გაბაშვილს), „ქართველი დედა" და სხვა.

ძველი სამყაროს წინააღმდეგ მებრძოლი მუშის მიერ დაუღალავი „მარჯვენის ქნევით" მოპოვებული ყოველი ლუკმა ოფლშია განბანილი. მეუღლის მძიმე ხვედრის მოზიარეა ოჯახის დედაც, თავის პირმშოს უმღერის მომავალზე და თან ამხნევებს:

„ნუ გეშინია ჯაჭვთ ჟღარუნისა,
ქუჩაში მიდის რკინის ბორკილი".
(„ნანა")

დედა მოუწოდებს თავის გაზრდილს, რომ ჩანგი სიყვარულისა უბედურთა და ჩაგრულთა გასამხნევებლად მომართოს, მათ სიმს გადაახვიოს თავისი გულის წკრიალა სიმი და მით გააადვილოს გზა. დედის სურვილია, რომ მისი პირმშო მომავალი მუშა, თავისი კლასის ნამდვილი გმირი გახდეს. თუმცა მას წინ ელის ცხოვრების მძიმე გზა, რომელიც „მოძმეთა ძვლებით მოკირწყლულია", მაგრამ ამას არ უნდა შეუდრკეს, თამამად განაგრძოს სვლა მოძმეთა ძვლებით მოფენილ გზაზე, და მით „წამების ჯვარზე, გულზე ყვავილით გამოიხატოს მისი სახელი".

ლექსში „ვუძლვნი დედებს" პოეტი სიმწარესა და ტანჯვაში გამოვლილ დედის სახეს ძერწავს. დედა ამაყობს, რომ შვილი „განთიადის დასამშვენი" გამოზარდა. დედა მზადაა თავისი გაზრდილი მსხვერპლად შესწიროს თავისუფლებისათვის ბრძოლას. იგი შვილს მტკიცედ მოუწოდებს: მტარვალს არ შეუშინდეს და როგორც ნამდვილ გმირს შეშვენის, სამაგიერო მიუზღოს მას. სიმწარეში ნადენი ცრემლიც ცხოვრების სიდუხჭირესთან საბრძოლველად უფრო ამხნევებს და აწრთობს:

„ცრემლი მხოლოდ მისთვის მინდა,
გულს ფოლადი ჩაეკვესოს,
გრდემლად მივცე იგი ჩემს შვილს,
რომ ნაღველში გამოლესოს".

საინტერესოა ლექსი „აკვანთან". დედის „მკერდზე თაიგულად" მიკონილი პირმშო პაწაწინაა და ჯერ არ ესმის, რა არის დარდი, მის „გარშემო კი მწარე ოფლის მორევი სდუღს, ისვრის ტალღას და აწოვებს ჩვენს ცხოვრებას გულგასაგმირ ტანჯვაჲალლამს!".

დედა მწარედ მოთქვამს. იცის, გაივლის წლები, წამოიზრდება მისი პაწაწა და ჩაეშვება „ტანჯვა-შრომის შავს უფსკრულში!". შეიძლება მასაც მოელის „ცხოვრების ტალღებთან" ბრძოლა, მტარვლის ხელით ბრძოლის ველზე დაცემა, მაგრამ დედა გულს არ იტეხს, რადგან შვილს „გაზაფხულის განთიადის მოციქულად" წარმოიდგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1906-1907 წლების ქართულ ბოლშევიკურ პრესაში ევდოშვილის მიერ გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი თხზულებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექსები: „გულის ტოლი“ და „ტკბილი წარსული“.

სატრფიალო თემაზე აგებულ ამ ლექსებში სიყვარულის წმინდა, ფაქიზი გრძნობა მოცემულია არა განყენებულად, არამედ ფართო საზოგადოებრივი გაგებით.

„გულის ტოლის“ ლირიკული გმირი ახალგაზრდა ქალია, რომელსაც უყვარს ხალხისათვის თავგანწირული მებრძოლი ვაჟკაცი. სიყვარულით გატაცებული ქალი ციმბირში მიმავალ, ბორკილდადებულ თავის სატრფოს მიმართავს:

გულის ტოლო, შენთან ერთად
მეც წამოვალ ცივს ციმბირში,
ვერ დაგტოვებ, მინდა შენთან
ვიყო მწარე გასაჭირში.
შეგვაერთა სიყვარულმა
და ვერ გაგვყრის მწარე ბედი.
არ ჩვეულა შენი სატრფო,
დაიხაროს დაბლა ქედი!

ქალი სიყვარულის მაღალ გრძნობას შეუბღალავად ინახავს გულში. იგი ბოლომდის ერთგული რჩება და უყოყმანოდ იზიარებს თავისი სატრფოს — შეუდრეკელი რევოლუციონერის ბედს. მას თავიდანვე აქვს შეგნებული, ვის დაუკავშირა ცხოვრება. ქალმა ისიც იცის, რომ გზა სატრფოსი გოლგოთისაკენაა აღმართული, მაგრამ ამასაც არ შეუშინდა. ამრიგად ავტორმა ქალიშვილის ერთგულება ხალხის მძიმე ხვედრს დაუკავშირა და წმინდა ვალი ღირსეულად შეასრულებინა.

ლექსის „ტკბილი წარსულის“ ლირიკული გმირიც შეყვარებული ქალია. იგი სინანულით იგონებს განვლილ დღეებს, გაცრუებულ იმედს: მას ხომ სატრფო ძველ, დახავსებულ ცხოვრებასთან მებრძოლ, გაუტეხელ, იდეალურ ადამიანად წარმოედგინა. მაგრამ ის მოლოდინი არ გამართლდა. ვაჟისთვის „ცხიერ ცხოვრებას დაეჩნია თავისი კვალი“, დაეკარგა ის „გულწრფელობა, უმანკოება“, რასაც იდეალურად შეყვარებული ქალი მასში ხედავდა. ვაჟის „არსებაში ჩაბმულიყო სიმი ახალი“, რომელიც ქალისათვის საძულველი იყო.

ქალი მწარედ მოტყუვდა. „გარემოების სათამაშოდ“ გამხდარ, პირადი ინტერესებით შემოფარგლულ სატრფოს ზურგი შეაქცია, რადგან იგი აღარ პასუხობდა ხალხისადმი მაღალ საზოგადოებრივ სამსახურს:

ოხ, რა მწარეა ეს წარსული, ეს
მოგონება.
შენებრივ ჰია რამდენია ჩვენს
ცხოვრებაში,
და აი ახლა ამ ბინდ-ბუნდში შფოთავს
გონება,
ტკბილი წარსული ილესება მწარე
ნაღველში!

ამგვარად, ირ. ევდოშვილის სატრფიალო ლექსებიც ატარებენ მაღალი პოლიტიკური და სოციალური თავისუფლების იდეურ მიზანს. ამ მიზნის განხორციელებისათვის კი ქალი-მებრძოლი, ქალი-დედა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად არის ჩაბმული და თავისი მოწოდების სიმაღლეზეა. ეს გარემოება აძლევდა პოეტის ამ ლექსებსაც აქტუალურ მნიშვნელობას, რის გამოც ბოლშევიკურ გაზეთ „ჩვენ ცხოვრებაში“ მათ საპატიო ადგილი დაეთმო.

თვითმპყრობელური მთავრობის მიერ მეტეხის ციხეში გამომწყვდეული, ბორკილდადებული იროდიონ ევდოშვილი 1910 წლის 27 ივლისს „ეტაპით“ ციმბირში გაიგზავნა. გადასახლებამდე, რამდენიმე დღით ადრე, ციხეში შვილის სანახავად მოხუცი დედა ევდო მივიდა. ამ მღელვარე წუთებს მიუძღვნა პოეტმა შესანიშნავი ლირიკული ლექსი „დედას“.

ბნელ ციხეში მშობელთან მოულოდნელი შეხვედრა რამდენ ტკბილ მოგონებას უღვიძებს პოეტს: იგი ხომ „დღიდან ყრმობისა ციცგომბორის მთისა კალთებზე დანავარდობდა, ხან მოქანცული დედისა მუხლზე თავს მიაყრდნობდა, მასთან ლაღობდა“. ახლა კი, გაჰქრა ის დრო!.. „საამო სიზმარს კავკასიონის მწვერვალზე სძინავს“. მას „სხვა ლრუბელი თავს ახვევია“ და „ქარიშხალი ღრიალებს, გმინავს“. შიშმა შეიპყრო პოეტი — ვაი თუ დედამ დაიტიროს „რკინის კუბოში“ გამოკეტილი შვილი. „მაგრამ მშობლის გულს, თვით გამწარებულს, თურმე წამალი არ ესწავლება“. მოხუცი დედის ხმამ პოეტი გაამხნევა, მან შვილს კვლავ ბრძოლისაკენ მოუწოდა:

„ნუგეში მტირალს, შენ ეს არ გინდა, —
მომესმა უცებ და ამათრთოლა.
— ვინც საფლავშიაც ცოცხლად ჩავიდა,
მას იქაც ჰმართებს ბრძოლა და
ბრძოლა.
აი ანდერძი, რომელსაც ხშირად
ამიერიდან ვუმღერებ ციხეს,
მას ჩემი ბედის გულზე ამოვჭრი
მას დავაწერავ მე ჩემს სიცოცხლეს!“

პატიმრობისას პოეტის მიერ დაწერილ სხვა ლექსებთან ერთად, ამ ლექსშიც ძლიერად გაისმის ხმა დაჩაგრული მშობლიური ქვეყნისა და ხალხის სიყვარულისა. ფიქრით და გონებით პოეტი განუწყვეტლივ სამშობლოსთან არის, მასზე ოცნებობს და თავს ევლება. ამიტომაცაა, რომ პოეტის ლექსი „დედას“ ქართველი დედის სულიერი სიმხნევისა და ზნეობრივი სიფაქიზის საგალობელია. იგი დედისადმი სპეტაკი სიყვარულითა და უსაზღვრო პატივისცემითაა გამსჭვალული. და პირადი მაგალითითაც, ხომ პოეტმა ქართულ ლიტერატურაში უკვდავმყო მარად ღირსსახსოვარი ქართველი დედის ნათელი, კეთილშობილური სახე. სამწერლო ასპარეზზე იროდიონ ხოსიტაშვილი, დედის სახსენლოდ, ევდოშვილის გვარით შემოვიდა და სამუდამოდ დამკვიდრდა ქართულ მწერლობაში.

შალვა გოზალიშვილი

## ქეთევანი

მე ქეთევანი დამარქვეს მიტომ, —
ქართველი ქალის ღირსება ვზიდო,
წმინდა კელაპტრად ავენთო მამულს,
მისი ლამაზი ცრემლებით ნამულს.

ჩემს სახელს თან სდევს დედოფლის ლანდი,
მისი ლოცვა და მისი ლაღადი.
ვეთაყვანები მის ნატერფალებს,
სპარსეთში შანთით ამომწვარ თვალებს.

ქეთევან! — როცა მიხმობს ქართველი,
ციმციმებს სულში წმინდა სანთელი.
ქეთევან! — მესმის სიმშვენიერე,
და ფერფლით დგება მისი სხეული.

...მე ქეთევანი დამარქვეს მიტომ, —
ქართველი დედის ღირსება ვზიდო!

ქეთევან მუმლაძე

## მერე რაა

ამწვანდება ისევ მოლი,
ნუში ისევ აფეთქდება,
მერე რაა, თეთრი თოვლი,
თუ შემოგრჩა საფეთქლებთან...
რუღმგამკრთალი ნუ შეხვდები
ნაადრევად ზამთრის მოსვლას,
დასცვენიათ ნუშებს თმები,
კვლავ გიპირებს ქარი კოცნას...
ნუ შეგაკრთობს მასზე ფიქრი,
მთვარე ღამეს ათევს მთებთან,
მერე რაა,
უცხო ფიფქი
თუ შემოგრჩა საფეთქლებთან...

მერი ფირხაძე

## წაუკითხეთ პატარებს

### შარადები

თეთრია და ფაფუკი,
მატყლივითაც ირთვება,
ოღონდ ბოლო მარცვალი
სიტყვას ჩამოსცილდება.
მიუმატე საყვირის
სხვანაირი სახელი,
დამუხლული ღერო აქვს,
ნუთუ არ ხარ მნახველი.
(ბამბა + ბუკი — ბამბუკი)

***

ჭერ მეოთხე მუსიკალურ
ბგერას მეტყვი უმაწვილო;
თან ყველაზე მსხვილი თითის
სახელია საჭირო.
შეკრიბე და გამოიცნობ,
არ გჭირდება კარნახი,
მაშ, წავიდოთ მდინარეზე,
დავიჭიროთ კალმახი.

(ფა-ცერი-ფაცერი)

შ. ამირანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარცხნიდან: იროდიონ ევდოშვილი, შიო მღვიმელი, ბაჩანა, თედო, სანდრო, ლუკა (ვაჟა-ფშაველა) რაზიკაშვილები და ვაჟას შვილი ლევანი.

# ქალი და დედა იროდიონ ევდოშვილის პოეზიაში

(პოეტის დაბადების 100 წლისთავისათვის)

რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის სახელოვანი წარმომადგენლის, ბელეტრისტისა და საზოგადო მოღვაწის, პოლიტიკური და სოციალური თავისუფლებისათვის მებრძოლი პოეტის — იროდიონ ევდოშვილის შემოქმედებაში მკვეთრად აისახა ქართველი დედისა და, საერთოდ, ქალის მებრძოლი, კეთილშობილური ნათელი სახე, მისი მოწოდება და დანიშნულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამის საუკეთესო პოეტურ ნიმუშს წარმოადგენს ლექსები: „ნანა", „ვუძლენი დედებს", „აკვანთან", „გულის ტოლო", „ტკბილი წარსული", „დედის მოთქმა", „ახალი ნანინა", „რათ სტირი დედავ, ყოველ ახალ წელს", „დედას", „დედა" (ვუძღვნი ეკ. გაბაშვილს), „ქართველი დედა" და სხვა.

ძველი სამყაროს წინააღმდეგ მებრძოლი მუშის მიერ დაუღალავი „მარჯვენის ქნევით" მოპოვებული ყოველი ლუკმა ოფლშია განბანილი. მეუღლის მძიმე ხვედრის მოზიარეა ოჯახის დედაც, თავის პირმშოს უმღერის მომავალზე და თან ამხნევებს:

„ნუ გეშინია ჯაჭვთ ჟღარუნისა,
ქუჩაში მიდის რკინის ბორკილი".
(„ნანა")

დედა მოუწოდებს თავის გაზრდილს, რომ ჩანგი სიყვარულისა უბედურთა და ჩაგრულთა გასამხნევებლად მომართოს, მათ სიმს გადაახვიოს თავისი გულის წკრიალა სიმი და მით გააადვილოს გზა. დედის სურვილია, რომ მისი პირმშო მომავალი მუშა, თავისი კლასის ნამდვილი გმირი გახდეს. თუმცა მას წინ ელის ცხოვრების მძიმე გზა, რომელიც „მოძმეთა ძვლებით მოკირწყლულია", მაგრამ ამას არ უნდა შეუდრკეს, თამამად განაგრძოს სვლა მოძმეთა ძვლებით მოფენილ გზაზე, და მით „წამების ჯვარზე, გულზე ყვავილით გამოიხატოს მისი სახელი".

ლექსში „ვუძღვნი დედებს" პოეტი სიმწარესა და ტანჯვაში გამოვლილ დედის სახეს ძერწავს. დედა ამაყობს, რომ შვილი „განთიადის დასამშვენი" გამოზარდა. დედა მზადაა თავისი გაზრდილი მსხვერპლად შესწიროს თავისუფლებისათვის ბრძოლას. იგი შვილს მტკიცედ მოუწოდებს: მტარვალს არ შეუშინდეს და როგორც ნამდვილ გმირს შეშვენის, სამაგიერო მიუზღოს მას. სიმწარეში ნადენი ცრემლიც ცხოვრების სიდუხჭირესთან საბრძოლველად უფრო ამხნევებს და აწრთობს:

„ცრემლი მხოლოდ მისთვის მინდა,
გულს ფოლადი ჩაეკვესოს,
გრდემლად მივცე იგი ჩემს შვილს,
რომ ნაღველში გამოლესოს".

საინტერესოა ლექსი „აკვანთან". დედის „მკერდზე თაიგულად" მიკონილი პირმშო პაწაწინაა და ჯერ არ ესმის, რა არის დარდი, მის „გარშემო კი მწარე ოფლის მორევი სდუღს, ისვრის ტალღას და აწოვებს ჩვენს ცხოვრებას გულგასაგმირ ტანჯვაჭალღამს!".

დედა მწარედ მოთქვამს. იცის, გაივლის წლები, წამოიზრდება მისი პაწაწა და ჩაეშვება „ტანჯვა-შრომის შავს უფსკრულში!". შეიძლება მასაც მოელის „ცხოვრების ტალღებთან" ბრძოლა, მტარვალის ხელით ბრძოლის ველზე დაცემა, მაგრამ დედა გულს არ იტეხს, რადგან შვილს „გაზაფხულის განთიადის მოციქულად" წარმოიდგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1906-1907 წლების ქართულ ბოლშევიკურ პრესაში ევდოშვილის მიერ გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი თხზულებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექსები: „გულის ტოლი“ და „ტკბილი წარსული“.

სატრფიალო თემაზე აგებულ ამ ლექსებში სიყვარულის წმინდა, ფაქიზი გრძნობა მოცემულია არა განყენებულად, არამედ ფართო საზოგადოებრივი გაგებით.

„გულის ტოლის“ ლირიკული გმირი ახალგაზრდა ქალია, რომელსაც უყვარს ხალხისათვის თავგანწირული მებრძოლი ვაჟკაცი. სიყვარულით გატაცებული ქალი ციმბირში მიმავალ, ბორკილდადებულ თავის სატრფოს მიმართავს:

გულის ტოლო, შენთან ერთად
მეც წამოვალ ცივს ციმბირში,
ვერ დაგტოვებ, მინდა შენთან
ვიყო მწარე გასაჭირში.
შეგვაერთა სიყვარულმა
და ვერ გაგვყრის მწარე ბედი.
არ ჩვეულა შენი სატრფო,
დაიხაროს დაბლა ქედი!

ქალი სიყვარულის მაღალ გრძნობას შეუბღალავად ინახავს გულში. იგი ბოლომდის ერთგული რჩება და უყოყმანოდ იზიარებს თავისი სატრფოს — შეუდრეკელი რევოლუციონერის ბედს. მას თავიდანვე აქვს შეგნებული, ვის დაუკავშირა ცხოვრება. ქალმა ისიც იცის, რომ გზა სატრფოსი გოლგოთისაკენაა აღმართული, მაგრამ ამასაც არ შეუშინდა. ამრიგად ავტორმა ქალიშვილის ერთგულება ხალხის მძიმე ხვედრს დაუკავშირა და წმინდა ვალი ღირსეულად შეასრულებინა.

ლექსის „ტკბილი წარსულის“ ლირიკული გმირიც შეყვარებული ქალია. იგი სინანულით იგონებს განვლილ დღეებს, გაცრუებულ იმედს: მას ხომ სატრფო ძველ, დახავსებულ ცხოვრებასთან მებრძოლ, გაუტეხელ, იდეალურ ადამიანად წარმოედგინა. მაგრამ ის მოლოდინი არ გამართლდა. ვაჟისთვის „ცბიერ ცხოვრებას დაეჩნია თავისი კვალი“, დაეკარგა ის „გულწრფელობა, უმანკოება“, რასაც იდეალურად შეყვარებული ქალი მასში ხედავდა. ვაჟის „არსებაში ჩაბმულიყო სიმი ახალი“, რომელიც ქალისათვის საძულველი იყო.

ქალი მწარედ მოტყუვდა. „გარემოების სათამაშოდ“ გამხდარ, პირადი ინტერესებით შემოფარგლულ სატრფოს ზურგი შეაქცია, რადგან იგი აღარ პასუხობდა ხალხისადმი მაღალ საზოგადოებრივ სამსახურს:

ოხ, რა მწარეა ეს წარსული, ეს
მოგონება.
შენებრივ ჰია რამდენია ჩვენს
ცხოვრებაში,
და აი ახლა ამ ბინდ-ბუნდში შფოთავს
გონება,
ტკბილი წარსული ილესება მწარე
ნაღველში!

ამგვარად, ირ. ევდოშვილის სატრფიალო ლექსებიც ატარებენ მაღალი პოლიტიკური და სოციალური თავისუფლების იდეურ მიზანს. ამ მიზნის განხორციელებისათვის კი ქალი-მებრძოლი, ქალი-დედა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად არის ჩაბმული და თავისი მოწოდების სიმაღლეზეა. ეს გარემოება აძლევდა პოეტის ამ ლექსებსაც აქტუალურ მნიშვნელობას, რის გამოც ბოლშევიკურ გაზეთ „ჩვენ ცხოვრებაში“ მათ საპატიო ადგილი დაეთმო.

თვითმპყრობელური მთავრობის მიერ მეტეხის ციხეში გამომწყვდეული, ბორკილდადებული იროდიონ ევდოშვილი 1910 წლის 27 ივლისს „ეტაპით“ ციმბირში გაიგზავნა. გადასახლებამდე, რამდენიმე დღით ადრე, ციხეში შვილის სანახავად მოხუცი დედა ევდო მივიდა. ამ მღელვარე წუთებს მიუძღვნა პოეტმა შესანიშნავი ლირიკული ლექსი „დედას“.

ბნელ ციხეში მშობელთან მოულოდნელი შეხვედრა რამდენ ტკბილ მოგონებას უღვიძებს პოეტს: იგი ხომ „დღიდან ყრმობისა ცივგომბორის მთისა კალთებზე დანავარდობდა, ხან მოქანცული დედისა მუხლზე თავს მიაყრდნობდა, მასთან ლაღობდა“. ახლა კი, გაჰქრა ის დრო!.. „საამო სიზმარს კავკასიონის მწვერვალზე ხძინავს“. მას „სხვა ღრუბელი თავს ახვევია“ და „ქარიშხალი ღრიალებს, გმინავს“. შიშმა შეიპყრო პოეტი — ვაი თუ დედამ დაიტიროს „რკინის კუბოში“ გამოკეტილი შვილი. „მაგრამ მშობლის გულს, თვით გამწარებულს, თურმე წამალი არ ესწავლება“. მოხუცი დედის ხმამ პოეტი გაამხნევა, მან შვილს კვლავ ბრძოლისაკენ მოუწოდა:

„ნუგეში მტირალს, შენ ეს არ გინდა, —
მომესმა უცებ და ამათრთოლა.
— ვინც საფლავშიაც ცოცხლად ჩავიდა,
მას იქაც ჰმართებს ბრძოლა და
, ბრძოლა.
აი ანდერძი, რომელსაც ხშირად
ამიერიდან ვუმღერებ ციხეს,
მას ჩემი ბედის გულზე ამოვჭრი
მას დავაწერავ მე ჩემს სიცოცხლეს!“

პატიმრობისას პოეტის მიერ დაწერილ სხვა ლექსებთან ერთად, ამ ლექსშიც ძლიერად გაისმის ხმა დაჩაგრული მშობლიური ქვეყნისა და ხალხის სიყვარულისა. ფიქრით და გონებით პოეტი განუწყვეტლივ სამშობლოსთან არის, მასზე ოცნებობს და თავს ევლება. ამიტომაცაა, რომ პოეტის ლექსი „დედას“ ქართველი დედის სულიერი სიმხნევისა და ზნეობრივი სიფაქიზის საგალობელია. იგი დედისადმი სპეტაკი სიყვარულითა და უსაზღვრო პატივისცემითაა გამსჭვალული. და პირადი მაგალითითაც, ხომ პოეტმა ქართულ ლიტერატურაში უკვდავყო მარად ღირსსახსოვარი ქართველი დედის ნათელი, კეთილშობილური სახე. სამწერლო ასპარეზზე იროდიონ ხოსიტაშვილი, დედის სასახელოდ, ევდოშვილის გვარით შემოვიდა და სამუდამოდ დამკვიდრდა ქართულ მწერლობაში.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲒᲝᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

## ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ

მე ქეთევანი დამარქვეს მიტომ, —
ქართველი ქალის ღირსება ვზიდო,
წმინდა კელაპტრად ავენთო მამულს,
მისი ლამაზი ცრემლებით ნამულს.

ჩემს სახელს თან სდევს დედოფლის ლანდი,
მისი ლოცვა და მისი ძალადი.
ვეთაყვანები მის ნატერფალებს,
სპარსეთში შანთით ამომწვარ თვალებს.

ქეთევან! — როცა მიხმობს ქართველი,
ციმციმებს სულში წმინდა სანთელი.
ქეთევან! — მესმის ხიმშერხეული,
და ფერფლით დგება მისი სხეული.

...მე ქეთევანი დამარქვეს მიტომ, —
ქართველი დედის ღირსება ვზიდო!

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲛᲣᲛᲚᲐᲫᲔ

## ᲛᲔᲠᲔ ᲠᲐᲐ

ამწვანდება ისევ მოლი,
ნუში ისევ აფეთქდება,
მერე რაა, თეთრი თოვლი,
თუ შემოგრჩა საფეთქლებთან...
რულგამკრთალი ნუ შეხვდები
ნაადრევად ზამთრის მოსვლას,
დასცვეინით ნუშებს თმები,
კვლავ გიპირებს ქარი კოცნას...
ნუ შეგაკრთობს მასზე ფიქრი,
მთვარე ღამეს ათევს მთებთან,
მერე რაა,
უცხო ფიფქი
თუ შემოგრჩა საფეთქლებთან...

ᲛᲔᲠᲘ ᲤᲘᲩᲮᲐᲫᲔ

## ᲬᲐᲣᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ

## ᲨᲐᲠᲐᲓᲔᲑᲘ

თეთრია და ფაფუკი,
მატყლივითაც ირთვება,
ოღონდ ბოლო მარცვალი
სიტყვას ჩამოსცილდება.
მიუმატე საყვირის
სხვანაირი სახელი,
დამუხლული ღერო აქვს,
ნუთუ არ ხარ მნახველი.
(ᲑᲐᲛᲑᲐ + ᲑᲣᲙᲘ — ᲑᲐᲛᲑᲣᲙᲘ)

***

ჭერ მეოთხე მუსიკალურ
ბგერას მეტყვი ყმაწვილო;
თან ყველაზე მსხვილი თითის
სახელია საჭირო.
შეკრიბე და გამოიცნობ,
არ გჭირდება კარნახი,
მაშ, წავიღოთ მდინარეზე,
დავიჭიროთ კალმახი.

(ᲤᲐ-ᲪᲔᲠᲘ-ᲤᲐᲪᲔᲠᲘ)

Შ. ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარცხნიდან: იროდიონ ევდოშვილი, მიხ მღვიმელი, ბაჩანა, თედო, სანდრო, ლუკა (ვაჟა-ფშაველა) რაზიკაშვილები და ვაჟას შვილი ლევანი.

# ქალი და დედა იროდიონ ევდოშვილის პოეზიაში

(პოეტის დაბადების 100 წლისთავისათვის)

რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის სახელოვანი წარმომადგენლის, ბელეტრისტისა და საზოგადო მოღვაწის, პოლიტიკური და სოციალური თავისუფლებისათვის მებრძოლი პოეტის — იროდიონ ევდოშვილის შემოქმედებაში მკვეთრად აისახა ქართველი დედისა და, საერთოდ, ქალის მებრძოლი, კეთილშობილური ნათელი სახე, მისი მოწოდება და დანიშნულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამის საუკეთესო პოეტურ ნიმუშს წარმოადგენს ლექსები: „ნანა", „ვუძღვნი დედებნ", „აკვანთან", „გულის ტოლო", „ტკბილი წარსული", „დედის მოთქმა", „ახალი ნანინა", „რათ სტირი დედავ, ყოველ ახალ წელს", „დედას", „დედა" (ვუძღვნი ეკ. გაბაშვილს), „ქართველი დედა" და სხვა.

ძველი სამყაროს წინააღმდეგ მებრძოლი მუშის მიერ დაუღალავი „მარჯვენის ქნევით" მოპოვებული ყოველი ლუკმა ოფლშია განბანილი. მეუღლის მძიმე ხვედრის მოზიარეა ოჯახის დედაც, თავის პირმშოს უმღერის მომავალზე და თან ამხნევებს:

„ნუ გეშინია ჯაჭვთ ჟღარუნისა,
ქუჩაში მიდის რკინის ბორკილი".
(„ნანა")

დედა მოუწოდებს თავის გაზრდილს, რომ ჩანგი სიყვარულისა უბედურთა და ჩაგრულთა გასამხნევებლად მომართოს, მათ სიმს გადაახვიოს თავისი გულის წკრიალა სიმი და მით გააადვილოს გზა. დედის სურვილია, რომ მისი პირმშო მომავალი მუშა, თავისი კლასის ნამდვილი გმირი გახდეს. თუმცა მას წინ ელის ცხოვრების მძიმე გზა, რომელიც „მოძმეთა ძვლებით მოკირწყლულია", მაგრამ ამას არ უნდა შეუდრკეს, თამამად განაგრძოს სვლა მოძმეთა ძვლებით მოფენილ გზაზე, და მით „წამების ჯვარზე, გულზე ყვავილით გამოიხატოს მისი სახელი".

ლექსში „ვუძლვნი დედებს" პოეტი სიმწარესა და ტანჯვაში გამოვლილ დედის სახეს ძერწავს. დედა ამაყობს, რომ შვილი „განთიადის დასამშვენი" გამოზარდა. დედა მზადაა თავისი გაზრდილი მსხვერპლად შესწიროს თავისუფლებისათვის ბრძოლას. იგი შვილს მტკიცედ მოუწოდებს: მტარვალს არ შეუშინდეს და როგორც ნამდვილ გმირს შეშვენის, სამაგიერო მიუზღოს მას. სიმწარეში ნადენი ცრემლიც ცხოვრების სიდუხჭირესთან საბრძოლველად უფრო ამხნევებს და აწრთობს:

„ცრემლი მხოლოდ მისთვის მინდა,
გულს ფოლადი ჩაეკვესოს,
გრდემლად მიეცე იგი ჩემს შვილს,
რომ ნაღველში გამოლესოს".

საინტერესოა ლექსი „აკვანთან". დედის „მკერდზე თაიგულად" მიკონილი პირმშო პაწაწინაა და ჯერ არ ესმის, რა არის დარდი, მის „გარშემო კი მწარე ოფლის მორევი სდუღს, ისვრის ტალღას და აწოვებს ჩვენს ცხოვრებას გულგასაგმირ ტანჯვაშალღამს!".

დედა მწარედ მოთქვამს. იცის, გაივლის წლები, წამოიზრდება მისი პაწაწა და ჩაეშვება „ტანჯვა-შრომის შავს უფსკრულში!". შეიძლება მასაც მოელის „ცხოვრების ტალღებთან" ბრძოლა, მტარვლის ხელით ბრძოლის ველზე დაცემა, მაგრამ დედა გულს არ იტეხს, რადგან შვილს „გაზაფხულის განთიადის მოციქულად" წარმოიდგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1906-1907 წლების ქართულ ბოლშევიკურ პრესაში ევდოშვილის მიერ გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი თხზულებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექსები: „გულის ტოლი" და „ტკბილი წარსული".

სატრფიალო თემაზე აგებულ ამ ლექსებში სიყვარულის წმინდა, ფაქიზი გრძნობა მოცემულია არა განყენებულად, არამედ ფართო საზოგადოებრივი გაგებით.

„გულის ტოლის" ლირიკული გმირი ახალგაზრდა ქალია, რომელსაც უყვარს ხალხისათვის თავგანწირული მებრძოლი ვაჟკაცი. სიყვარულით გატაცებული ქალი ციმბირში მიმავალ, ბორკილდადებულ თავის სატრფოს მიმართავს:

გულის ტოლო, შენთან ერთად
მეც წამოვალ ცივს ციმბირში,
ვერ დაგტოვებ, მინდა შენთან
ვიყო მწარე გასაჭირში.
შეგვაერთა სიყვარულმა
და ვერ გაგვყრის მწარე ბედი.
არ ჩვეულა შენი სატრფო,
დაიხაროს დაბლა ქედი!

ქალი სიყვარულის მაღალ გრძნობას შეუბღალავად ინახავს გულში. იგი ბოლომდის ერთგული რჩება და უყოყმანოდ იზიარებს თავისი სატრფოს — შეუდრეკელი რევოლუციონერის ბედს. მას თავიდანვე აქვს შეგნებული, ვის დაუკავშირა ცხოვრება. ქალმა ისიც იცის, რომ გზა სატრფოსი გოლგოთისაკენაა აღმართული, მაგრამ ამასაც არ შეუშინდა. ამრიგად ავტორმა ქალიშვილის ერთგულება ხალხის მძიმე ხვედრს დაუკავშირა და წმინდა ვალი ღირსეულად შეასრულებინა.

ლექსის „ტკბილი წარსულის" ლირიკული გმირიც შეყვარებული ქალია. იგი სინანულით იგონებს განვლილ დღეებს, გაცრუებულ იმედს: მას ხომ სატრფო ძველ, დახავსებულ ცხოვრებასთან მებრძოლ, გაუტეხელ, იდეალურ ადამიანად წარმოედგინა. მაგრამ ის მოლოდინი არ გამართლდა. ვაჟისთვის „ცბიერ ცხოვრებას დაეჩნია თავისი კვალი", დაეკარგა ის „გულწრფელობა, უმანკოება", რასაც იდეალურად შეყვარებული ქალი მასში ხედავდა. ვაჟის „არსებაში ჩაბმულიყო სიმი ახალი", რომელიც ქალისათვის საძულველი იყო.

ქალი მწარედ მოტყუვდა. „გარემოების სათამაშოდ" გამხდარ, პირადი ინტერესებით შემოფარგლულ სატრფოს ზურგი შეაქცია, რადგან იგი აღარ პასუხობდა ხალხისადმი მაღალ საზოგადოებრივ სამსახურს:

ოხ, რა მწარეა ეს წარსული, ეს
მოგონება.
შენებრივ ჰია რამდენია ჩვენს
ცხოვრებაში,
და აი ახლა ამ ბინდ-ბუნდში შფოთავს
გონება,
ტკბილი წარსული ილევება მწარე
ნაღველში!

ამგვარად, ირ. ევდოშვილის სატრფიალო ლექსებიც ატარებენ მაღალი პოლიტიკური და სოციალური თავისუფლების იდეურ მიზანს. ამ მიზნის განხორციელებისათვის კი ქალი-მებრძოლი, ქალი-დედა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად არის ჩაბმული და თავისი მოწოდების სიმაღლეზეა. ეს გარემოება აძლევდა პოეტის ამ ლექსებსაც აქტუალურ მნიშვნელობას, რის გამოც ბოლშევიკურ გაზეთ „ჩვენ ცხოვრებაში" მათ საპატიო ადგილი დაეთმო.

თვითმპყრობელური მთავრობის მიერ მეტეხის ციხეში გამომწყვდეული, ბორკილდადებული იროდიონ ევდოშვილი 1910 წლის 27 ივლისს „ეტაპით" ციმბირში გაიგზავნა. გადასახლებამდე, რამდენიმე დღით ადრე, ციხეში შვილის სანახავად მოხუცი დედა ევდო მივიდა. ამ მღელვარე წუთებს მიუძღვნა პოეტმა შესანიშნავი ლირიკული ლექსი „დედას".

ბნელ ციხეში მშობელთან მოულოდნელი შეხვედრა რამდენ ტკბილ მოგონებას უღვიძებს პოეტს: იგი ხომ „დილიდან ყრმობისა ცივგომბორის მთისა კალთებზე დანავარდობდა, ხან მოქანცული დედისა მუხლზე თავს მიაყრდნობდა, მასთან ლაღობდა". ახლა კი, გაქრა ის დრო!.. „სამო სიზმარს კავკასიონის მწვერვალზე ხძინავს". მას „სხვა ღრუბელი თავს ახვევია" და „ქარიშხალი ღრიალებს, გმინავს". შიშმა შეიპყრო პოეტი — ვაი თუ დედამ დაიტიროს „რკინის კუბოში" გამოკეტილი შვილი. „მაგრამ მშობლის გულს, თვით გამწარებულს, თურმე წამალი არ ესწავლება". მოხუცი დედის ხმამ პოეტი გაამხნევა, მან შვილს კვლავ ბრძოლისაკენ მოუწოდა:

„ნუგეში მტირალს, შენ ეს არ გინდა, —
მომესმა უცებ და ამათრთოლა.
— ვინც საფლავშიაც ცოცხლად ჩავიდა,
მას იქაც ჰმართებს ბრძოლა და
ბრძოლა.
აი ანდერძი, რომელსაც ხშირად
ამიერიდან ვუმღერებ ციხეს,
მას ჩემი ბედის გულზე ამოვჭრი
მას დავაწერავ მე ჩემს სიცოცხლეს!"

პატიმრობისას პოეტის მიერ დაწერილ სხვა ლექსებთან ერთად, ამ ლექსშიც ძლიერად გაისმის ხმა დაჩაგრული მშობლიური ქვეყნისა და ხალხის სიყვარულისა. ფიქრით და გონებით პოეტი განუწყვეტლივ სამშობლოსთან არის, მასზე ოცნებობს და თავსევლება. ამიტომაცაა, რომ პოეტის ლექსი „დედას" ქართველი დედის სულიერი სიმხნევისა და ზნეობრივი სიფაქიზის საგალობელია. იგი დედისადმი სპეტაკი სიყვარულითა და უსაზღვრო პატივისცემითაა გამსჭვალული. და პირადი მაგალითითაც, ხომ პოეტმა ქართულ ლიტერატურაში უკვდავჰყო მარად ღირსსახსოვარი ქართველი დედის ნათელი, კეთილშობილური სახე. სამწერლო ასპარეზზე იროდიონ ხოსიტაშვილი, დედის სასახელოდ, ევდოშვილის გვარით შემოვიდა და სამუდამოდ დამკვიდრდა ქართულ მწერლობაში.

შალვა გოზალიშვილი

## ქეთევანი

მე ქეთევანი დამარქვეს მიტომ, —
ქართველი ქალის ღირსება ვზიდო,
წმინდა კელაპტრად ავენთო მამულს,
მისი ლამაზი ცრემლებით ნამულს.

ჩემს სახელს თან სდევს დედოფლის ლანდი,
მისი ლოცვა და მისი ღაღადი.
ვეთაყვანები მის ნატერფალებს,
სპარსეთში შანთით ამომწვარ თვალებს.

ქეთევან! — როცა მიხმობს ქართველი,
ციმციმებს სულში წმინდა სანთელი.
ქეთევან! — მესმის სიმშვიდე, სიმშვიდე?

...მე ქეთევანი დამარქვეს მიტომ, —
ქართველი დედის ღირსება ვზიდო!

ქეთევან მუმლაძე

## მერე რაა

ამწვანდება ისევ მოლი,
ნუში ისევ აფეთქდება,
მერე რაა, თეთრი თოვლი,
თუ შემოგრჩა საფეთქლებთან...
რულგამკრთალი ნუ შეხვდები
ნაადრევად ზამთრის მოსვლას,
დასცვენილთ ნუშებს თმები,
კვლავ გიპირებს ქარი კოცნას...
ნუ შეგაკრთობს მასზე ფიქრი,
მთვარე ღამეს ათევს მთებთან,
მერე რაა,
უცხო ფიფქი
თუ შემოგრჩა საფეთქლებთან...

მერი ფიჩხაძე

## წაუკითხეთ პატარებს

## შარადები

თეთრია და ფაფუკი,
მატყლივითაც ირთვება,
ოღონდ ბოლო მარცვალი
სიტყვას ჩამოსცილდება.
მიუმატე საყვირის
სხვანაირი სახელი,
დამუხლული ღერო აქვს,
ნუთუ არ ხარ მნახველი.
(ბამბა + ბუკი — ბამბუკი)

***

ჯერ მეოთხე მუსიკალურ
ბგერას მეტყვი ყმაწვილო;
თან ყველაზე მსხვილი თითის
სახელია საჭირო.
შეკრიბე და გამოიცნობ,
არ გჭირდება კარნახი,
მაშ, წავიდოთ მდინარეზე,
დავიჭიროთ კალმახი.

(ფა-ცერი-ფაცერი)

ზ. ამირანაშვილი

## ერთი თაოსნობის სასიკეთო პერსპექტივები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსთაველ ქიმიკოსთა თაოსნობა

ქიმიური ბოჭკოს ქარხანა — მერვე ხუთწლედის პირმშო — რუსთავის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და უმსხვილესი საწარმოა, რომელსაც დიდი ხვედრითი წონა აქვს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში. ამიტომაც გულდასაწყვეტია, რომ ამ ქარხნის კოლექტივი მეცხრე ხუთწლედის დამკვრელური წლის დამდეგამდე, ხანგრძლივად ჩამორჩებოდა სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე ქარხნის მოწინავე ადამიანებმა ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობით მედგრად შეუტიეს საქმეს. ამ საწარმოში სათავე მიეცა მრავალ ძვირფას თაოსნობას. „ხუთდღიური დავალება — ოთხ დღეში“, „მაქსიმალურად გამოვიყენოთ მაღალკვალიფიციური შრომა და სამუშაო დროის ყოველი წუთი“, „შემოვიღოთ თითოეული მუშის პირადი შრომითი გეგმები“, „ყოველი ინჟინერი და ტექნიკოსი-რაციონალიზატორი მოქმედებაში“, — აი, არა სრული ჩამოთვლა იმ ძვირფასი წამოწყებებისა, რასაც აქ ჩაეყარა საფუძველი და ბევრი მიმდევარიც გამოუჩნდა, მაგრამ ამ „ბევრში“, გულახდილად რომ ვთქვათ, მაინც ერთეულები და მოწინავეთა მხოლოდ ცალკეული ჯგუფები იგულისხმებოდა, რომლებიც „ამინდს“ ვერ ქმნიდნენ მუშაობის ძირეულად გარდატეხაში. ქარხნის ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კი მაინც კადრების უკმარისობა იყო, და, აი, საწარმოს სათვის გულშემატკივრები ლოგიკურ კვნამდე მივიდნენ: კადრების სიმცირე და ამით განპირობებული პროდუქციის დანაკლისის კომპენსირება შესაძლოა მხოლოდ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდით, კოლექტივის თითოეული წევრის მიერ მოწინავეთა მიჯნის მიღწევით.

ამ დასკვნამდე თავდაპირველად მივიდნენ ცხლად გაჭიმვის საამქროს კომუნისტები, რომელთაც დავით მჭედლური ხელმძღვანელობს. სახელდახელოდ მოიწვიეს კრება და ეს მოსაზრება საამქროს მშრომელებს გააცნეს. მათ მასობრივად გამოთქვეს სურვილი გაეჩაღებინათ მოძრაობა დევიზით: „მოწინავის დღევანდელი მიჯნა — ხვალ თითოეულის მიჯნა“.

პირველნი, რომლებმაც ეს ინიციატივა წამოიწყეს, იყვნენ ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი მძახავი გალინა ქარჩავა, კომუნისტური შრომის დამკვრელები: მარო მაისურაძე, ლეილა ბადუაშვილი, ნინო ვარსემაშვილი, სკკპ წევრობის კანდიდატი ვალენტინა ტრუხინა და სხვები.

ძვირფასმა თაოსნობამ სულ უფრო ფართო გაქანება მიიღო. აპრილში იგი გახდა ქარხნის პარტიული და პროფკავშირული კომიტეტების, შემდგომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ სასარგებლო წამოწყების ფართოდ განსაზოგადოებლად და მხარდასაჭერად.

როგორია ამ თაოსნობის პირველი სასიკეთო შედეგები თვით ინიციატორებთან — ცხლად გაჭიმვის საამქროში? ნოვატორულ ჩანაფიქრს აქ წინ უძღოდა ყოველმხრივ მოფიქრებული ღონისძიებანი, საიმედო ექსპერიმენტები. ახლა ყოველდღიურად ჯამდება მისი შედეგები, საფუძვლიან ანალიზს უკეთებენ ყოველ ახალ ცდას და იღებენ პრაქტიკულ გადაწყვეტილებას — თუ რა ცვლილებანი მოახდინონ ამა თუ იმ უბანზე, როგორი კორექტივები შეიტანონ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებში, რა წინაპირობები შეუქმნან ყველას მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის.

ამ საამქროში მოწინავეთა მიჯნებად მიჩნეულია წარჩინებული მძახავების: გალინა ქარჩავას, მაყვალა სიბოშვილის, ნინა შამლის, ნელი მელაშვილის, მარიამ მაქშანოვას, ქეთინო კურტანიძის, მერი ჩომახიძის, ქეთინო ნარიმანიძის, ვენერა მუშკუდიანის, მაყვალა რობიტაშვილის, ვალენტინა ნიკიფოროვას, ევდოკი დედოვას, მარო მაისურაძის, ნინა ლიპისოვას, როზა გოგოლაძის, ციური თიგიშვილისა და სხვათა პირადი შრომის შედეგები. მათ კვალიფიკაციის სრულყოფის, ტექნოლოგიურ პროცესთა გაძღოლის წესების ზუსტი დაცვის, სამუშაო დროის ყოველი წუთის მაქსიმალურად გამოყენების შედეგად გააფართოვეს საგრეხი მანქანების მომსახურების ზონა და 250 კილოგრამის ნაცვლად ცვლაში 350-500 კილოგრამ კორდის ძაფს უშვებენ.

დაიანგარიშეს, რომ ამ საამქროში მოწინავეთა საშუალო გამომუშავების მაჩვენებელი 350 კილოგრამი კორდის ძაფია, ხოლო თითოეული მუშის საშუალო გამომუშავება 275 კილოგრამს შეადგენს. თაოსნობის დაწყებისთანავე მოწინავეთა საშუალო გამომუშავების მიჯნის ასაღებად 70-მა მძახავმა აიღო სტარტი. ამ მიზნის მიღწევის შემთხვევაში 350-400 ტონით გაიზრდება საამქროს წარმადობა, რაც მკვეთრად დააახლოებს საპროექტო სიმძლავრის მაჩვენებლებთან.

აღრიცხვაზეა სამუშაო დროის ყოველი წუთი, რაც იხარჯება მანქანის გაწყობაზე, ნედლეულისა და მზა პროდუქციის ტრანსპორტირებაზე, ხარისხის წინდაწინ შემოწმებაზე და სხვა. თვალსაჩინო აგიტაციის ყველა საშუალება ქმედითად არის გამოყენებული მოწინავე გამოცდილების განზოგადებისათვის. ბოლო დროს დაწინაურებულთა მუშაობის ჩვენებისათვის. ქარხნის სხვა საამქროებშიც, სადაც შრომა ნორმირებულია გაკეთდა მაჩვენებელთა სპეციალური დაფები, რომლებზეც ორი გრაფაა: „მოწინავეთა მიჯნა“ და „მიმდევართა მიჯნა“. მიმდევართა მიჯნის გრაფაში სისტემატურად აღინიშნება ყოველდღიური შრომის დაზუსტებული შედეგები. თვალსა და გულს ახარებს დაფაზე გამოჩენა პირველი მახარობლებისა, რომლებმაც მოწინავეთა მიჯნებს მიაღწიეს. ესენი არიან: მძახავი ვალია ოზბეთელაშვილი, მქსოველი გალინა კირილენკო, მრთველი რომან ხურცილავა, მძახავი აბრეშუმის საგრეხი საამქროდან ნატო ბაგაური და სხვები. მათი რიგები დღითიდღე იზრდება. მოწინავეთა მიჯნების მისაღწევად ქარხანაში უკვე იბრძვის 260 მუშა, მათ შორის 150-მა უკვე მიაღწია ამ მიზანს. ისინი ბეჯითი შრომით დღითი დღე ზრდიან ზეგეგმითი პროდუქციის ხვავსა და ბარაქას.

როცა შემოქმედებითი შრომა ასეთ ზუსტ დაანგარიშებებსა და მეცნიერულ საფუძვლებს ეყრდნობა, გამორიცხულია რაიმე შემთხვევითობა, ყველაფერი გეგმაზომიერად მიმდინარეობს და მიზანდასახულობანი თანდათან იქცევა სასურველ მაჩვენებლებად.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისია, რომელსაც ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი შალვა შარაბიძე უდგას სათავეში, რეგულარულად აჯამებს თაოსნობის შედეგებს და წარმოების ყოველ უბანზე მისი ეფექტურობის მისაღწევად საჭირო პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებს, რაშიც აქტიურად მონაწილეობენ ქარხნის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები.

მიიწურა თუ არა ხუთწლედის პირველი ნახევარი, ქარხანაში დეტალურად დაიანგარიშეს, თუ რა პრაქტიკული შედეგები მოჰყვა მიმდინარე წლის 6 თვეში ძვირფასი თაოსნობის წამოწყებასა და მხარდაჭერას. გამოირკვა, რომ ამ პერიოდში მოწინავის მიჯნას მიაღწია 125-მა მიმდევარმა, მათ დონეს კიდევ 32 ადამიანი მიუახლოვდა.

ქარხნის კოლექტივის წლიური ვალდებულება ითვალისწინებდა 350 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებას, წლის მარტო პირველ ნახევარში უკვე რეალიზებულია 380 ათასი მანეთის პროდუქცია. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 17 პროცენტით. ზეგეგმითი პროდუქციის გამოსავლიანობა ძირითადი პროფესიის ერთ მუშაზე ამავე პერიოდში გაზრდილია 51 მანეთით, ე. ი. 5,8 პროცენტით.

პროდუქციის რეალიზაციის 8 თვის გეგმა ქარხნის კოლექტივმა 104 პროცენტით გაანაღდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ყველა ძირითადი და დამხმარე საამქროს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

დღეისათვის ქარხნის 176 მუშას აქვს ათვისებული დაუგავპილსელი წარჩინებული მძახავის, სოციალისტური შრომის გმირის ფეოდოსია რიბაკოვას მუშაობის პროგრესული მეთოდი, რაც მანქანების ეფექტურად გამოყენებას გულისხმობს. მათ შორის 117 მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბრის ანგარიშში მუშაობს, 55 კი — მომავალი წლის თებერვალ-მარტის ანგარიშში. ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წლის ანგარიშში მომუშავეთა შორის არიან: ცხლად გაჭიმვის საამქროს მძახავი ტატიანა მულდაროვა, მგრეხავი ეთერ ხოლუაშვილი და სხვები, ხოლო გადამხვევმა სოფიო ჯაბანაშვილმა და მგრეხავმა გოგონა გაგუამ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მიწურულს უკვე ხუთწლედის პირადი გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი შეასრულეს.

ძვირფასი თაოსნობითა და მისი სასიკეთო პერსპექტივებით დაინტერესდნენ რუსთავის სხვა საწარმოთა კოლექტივებიც. ამ წამოწყებას ქალაქში ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი ამწესამშენებლო ქარხნის მექანიკური საამქროს კოლექტივმა (უფროსი გურამ აბაშიძე, პარტბიუროს მდივანი გიორგი ბაკაევი). თაოსნობის მხარდაჭერისას ამ საამქროში სამ ათეულამდე მოწინავე იყო, ამჟამად კი ასეთთა რიცხვი სამოცს აჭარბებს. დღეისათვის აქ ვერ ნახავთ ვერცერთ მუშას, რომელიც გამომუშავების ნორმების შესრულებაში ჩამორჩებოდეს, მაგრამ


მგრეხავი გოგონა გაგუა


გადამხვევი სოფიკო ჯაბანაშვილი


მგრეხავი ეთერ ხოლუაშვილი



მგრეხავები ზამირა გიგოლაშვილი და სოფიო მალუტაშვილი.

მგრეხავი ქეთევან კურტანიძე





მგრეხავი ლილი ქორიძე

ეს როდია მთავარი. საამქროში ძირითად მიზნად დასახულია ის, რომ მოკლეხანში თითოეული მუშა მოწინავეთა მიჯნებს გაუთანაბრდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინათ ამწესამშენებლო ქარხანაში სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიამ (თავმჯდომარე ბექარ ნაცვლიშვილი) შეაჯამა ხუთწლედის დამკვრელური წლის პირველი ნახევრის შედეგები. მთლიანად საწარმომ რვა თვის სახელმწიფო გეგმა 102,8 პროცენტით შეასრულა. საერთო მიღწევებში ღირსეული წვლილი მიუძღვის მექანიკური საამქროს კოლექტივს. კომისიამ ინდივიდუალურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო ამ საამქროს წარჩინებული ხარატი მიხეილ სალიკოვი, ბრიგადებს შორის კი — ზეინკალ-ამწყობთა ბრიგადა, რომელსაც ისიდორე ალბოროვი ხელმძღვანელობს. აქ ყოველ მუშას აქვს ხუთწლედის პირადი გეგმა, მათი შესრულებისას, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია მოწინავეთა მიჯნების მიღწევა. მღარავ ფეოდორ პეტრენკოს, ხარატებს ოთარ მანანაძეს და გიორგი ბაკაევს 8 თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით აქვთ განაღდებული და კარგა ხანია მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ. წარმოების შუქურებს ბაძავენ დანარჩენებიც და სულ უფრო აღმავალი გზით მიდის ქარხნის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

ქიმიკოსთა თაოსნობამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროშიც. ცნობილმა მეფოლადემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მიხეილ სპანდერაშვილმა ივალდებულა დნობათა 80 პროცენტი ჩქაროსნული მეთოდით განახორციელოს და წლიური გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 1.500 ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი. „თუ ერთმა შეძლო, ყველა შეძლებს" — ასე განაცხადეს მემარტენეებმა, როცა სპანდერაშვილის ბრიგადის გადაწყვეტილებას გაეცნენ. მართლაც, იმ დღიდან საგრძნობლად იმატა ჩქაროსნულ დნობათა რაოდენობამ, რამაც მარტო ივლისსა და აგვისტოში 287-ს გადააჭარბა. მოწინავე ზღუდეებზე მოიერიშეთა შორის დამკვრელური წლის პირველ ნახევარში ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწია სსრ კავშირის საპატიო მეტალურგის ილია ქოქიაშვილის ბრიგადამ, რომლის ანგარიშზე მარტო ამ პერიოდში 1.264 ტონა ზეგეგმითი ფოლადი ირიცხება. ასეთები კი აქ ერთეულები როდი არიან. მოწინავეებს სულ უფრო მეტი მიმბაძველები უჩნდებათ. ამის შედეგიც არის, რომ ხუთწლედის გადამწყვეტი წლის რვა თვის გეგმა მემარტენეებმა გადაჭარბებით შეასრულეს, დაძლიეს განვლილი პერიოდის ჩამორჩენა და მოწინავეთა რიგებში დაიმკვიდრეს ადგილი.

დიახ, რუსთაველ ქიმიკოსთა თაოსნობა ქალაქის საწარმოებში სულ უფრო ფართო გამოხმაურებას პოულობს და აშკარა ხდება მისი სასიკეთო შედეგები.

გ. გელაშვილი,

გაზეთ „სოციალისტური რუსთავის" რედაქტორი.

# „რაც მტრობას დაუნგრევია..."

მტრობას კი ბევრი რამ დაუნგრევია — სოფლები და ქალაქები, იავარუყვია ოდესღაც ძლიერი, დიდებული სახელმწიფონი. მაგრამ მტრობას სიყვარული შერკინებია... და ხალხთა ცხოვრების ისტორია ხომ ბრძოლაა ბოროტისა და კეთილის, მტრობისა და სიყვარულისა. „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია" — ღიღინებდა, ვინ იცის, რომელი მტრისგან და მერამდენეჯერ დანაცრული საქართველოს ხარაჩოებზე მისი მშენებელი — ქართველი კაცი და ისევ და ისევ აგებდა სახლებს თავისი შვილისა და შვილთაშვილისათვის, მოყვრისა და კეთილისთვის, მათთვისაც, ვისაც ძნელბედობის ჟამს მისი დახმარება და სტუმართმოყვარე თავშესაფარი დასჭირვებია. დიახ, მათთვისაც. ვინაიდან, დიდი რუსთაველის სიტყვით რომ ვთქვათ, „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია" და რუსთაველის ეს დიდებული საგალობელი ხომ ქართველი ხალხის ბუნებიდან, მისი მრწამსიდან მომდინარეობს.

ამ მრწამსისა და საქართველოს ცხოვრების სიმბოლოდ დგას ჩვენი დედაქალაქის თავზე ქართვლის დედა.

ასე ხმლითა და ზეაწეული სამეგობრო თასით გამოატარა მან საუკუნეთა ქარიშხლებში თავისი დაფლეთილი სხეული და სიცოცხლით მწყურვალი, ამაყი სული.

ამ მრწამსით ცხოვრობს ჩვენი ხალხი და მკლავმოუღლელად წნავს სამოყვრო და სამეგობრო ხიდს — საუკუნეებს რომ გადასწვდება.

ამ ხიდით მოსულან ჩვენთან უცხოელი მოგზაურნი, ამ ხიდით მოსულან ჩვენთან დიდებულნი: პუშკინი, ტოლსტოი, ლერმონტოვი, გრიბოედოვი, გორკი, ესენინი... შემდეგ ერთი მათგანის სახელი საქართველოს მთელი სიცოცხლით დაკავშირებია და დგას ახლა მთაწმინდაზე ძეგლი, საუკუნეებს რომ შემორჩა, გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის სიყვარულის უკვდავსაყოფად.

ამ მეგობრობის ხიდს მოურთლია ტკივილებით განაწამები ლესია უკრაინკაც საქართველოში. აქ ცხოვრობდა, ღელავდა, ქმნიდა... აქვე აფრინდა ციცხვუნ მისი ლამაზი სული და სამუდამო სამახსოვროდ დაგვიტოვა მღელვარებით წარმოთქმული: უკრაინელი რომ არ ვიყო, ქართველობას ვისურვებდიო.

ვლადიმერ მაიაკოვსკი თავის მეორე დედად თვლიდა საქართველოს, სადაც ის დაიბადა და დაფრთიანდა:

„როგორც კი დავადგი ფეხი კავკასიას, მყისვე მომაგონდა, რომ მე ქართველი ვარ", — თქვა მან.

„სტუმარი ღვთისაა", — ამბობს ქართველი კაცი და სტუმრისათვის ღია აქვს გული და კარი, ემეტება საუკეთესო რაც გააჩნია.

არ ვიცი, არსებობდა, ან არსებობს თუ არა სხვაგან სადმე ფიც-ვერცხლის ჭამა, — საქართველოში კი სისხლით უძმობილდებოდა ვაჟკაცი-ვაჟკაცს და ცხოვრობდა ამ მოყვრისათვის „თავი ჭირსა არ დამრიდად". და რა გასაკვირია, თუ სტუმრად, თუ გაჭირვების ჟამს ჩვენს ჭერ-ქვეშ მოუხაროდათ ჩვენს უახლოეს მეზობლებსაც — სომხებს, აზერბაიჯანლებს. აქ მოდიოდნენ, შრომობდნენ, იბრძოდნენ ადამიანთა უკეთესი მერმისისათვის და მეგობრობდნენ ჩვენს ხალხთან, ჩვენს მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან სომხეთისა და აზერბაიჯანის საუკეთესო შვილები. თბილისში, ბესიკის ქუჩაზე იზეიმა თავისი მეორე სამწერლო დაბადება აზერბაიჯანის შესანიშნავმა შვილმა, დიდად პოპულარული ჟურნალის „მოლა ნასრედინის" გამომცემელმა მწერალმა ჯალილ მამედ-კული ზადემ. აქ დაიწერა მისი საუკეთესო მოთხრობები, პიესები, ფელეტონები.

აქ ცხოვრობდა და აქვე დაიდო სამუდამო სავანე აზერბაიჯანის გამოჩენილმა მწერალმა, დრამატურგმა მირზა ფატალი ახუნდოვმა.

აქ, თბილისის ცის ქვეშ, ამიერკავკასიის ხალხთა სამ ენაზე გულშიჩამწვდომად მღეროდა საიათნოვა...

„მსოფლიოს რომ თვალი გადაავლოთ, ვერსად ნახავთ ქართველებისთანა სამეზობლო ხალხს", — ამბობდა სომხეთის საამაყო შვილი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე ოვანეს თუმანიანი. და თვადაც, პირადი ცხოვრების მაგალითით ასწავლიდა ყველას, როგორ უნდა გიყვარდეს, როგორ უნდა სცემდე პატივს ქვეყანას, ხალხს, რომელმაც საკუთარი შვილივით შეგიტკბო და შეგიყვარა — ასწავლიდა, რადგან ხედავდა, რა გულმხურვალედ ეხმაურებოდა ქართველი ხალხი მეზობლისა და მეგობრის გასაჭირს, რა დედობრივი ზრუნვით მიიღო და დაასახლა თავის ჭერქვეშ ათასობით ლტოლვილი სომეხი.

„ჩვენ დავამყარებთ უფრო მჭიდრო სულიერ კავშირს. ჩვენ, კავკასიის ხალხები ყოველთვის მხარში ვუდექით ერთმანეთს. ჩვენ ძმები ვართ და ვგავართ ჩვენს მთათა მწვერვალებს, რომლებიც ცალ-ცალკე ცად აზიდულან, მაგრამ მათი ძირები ერთმანეთთანაა შედუღაბებული", — წერდა ოვანეს თუმანიანი.

ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის და საერთო მტრის, მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდნენ ხალხს აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე, ოვანეს თუმანიანი და მირზა ფატალი ახუნდოვი და სხვანი და სხვანი...

აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ საიუბილეო წერილში, რომელიც გაზეთ „დროებაში" იყო გამოქვეყნებული, ჯალილ მამედკული ზადე წერდა: „დადგება დრო, როდესაც ჩვენი სამი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები სხვა ხალხების პროგრესულ წარმომადგენლებთან ერთად იტყვიან: გაუმარჯოს პოეზიას, გაუმარჯოს განათლებას, გაუმარჯოს პროგრესს, გაუმარჯოს ერთობას".

ახდა მწერლის ოცნება. დიდი მწერლებისა და განმანათლებლების მიერ წამოწყებული ბრძოლა ხალხთა მეგობრობისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის, განაგრძეს და გააღრმავეს რევოლუციონერ-გამანთავისუფლებლებმა. იმ ბრძოლების მოგონებად და 26 ძმად შეფიცული გმირი რევოლუციონერის ხსოვნის უკვდავსაყოფად. მეგობრობის სიმბოლოდ დგას დღეს დიდებული მონუმენტი აზერბაიჯანის დედაქალაქის — ბაქოს შუაგულში.

გასულ წელს ჩვენ ვიდღესასწაულეთ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წელი. ეს იყო 15 რესპუბლიკისა და კიდევ მრავალი ავტონომიური რესპუბლიკის დაძმობილებისა და დამეგობრების დიდი იუბილე. ამგვარად, სინამდვილემ ყველაზე გაბედულ ოცნებასაც კი გადააჭარბა, მან მიიღო სრულიად სხვა, ახალი ფორმა, სხვა შინაარსი. ხალხთა მეგობრობა ჩვენს კავშირში ჩვენი სახელმწიფოს საყრდენი გახდა, მისი ქვაკუთხედი. თანახმად ლენინური ეროვნული პოლიტიკისა, ამ კავშირში შემავალი ყოველი რესპუბლიკა სავსებით სუვერენულია და ავითარებს რა თავის ყველაზე ძვირფასსა და სანუკვარს — საუკეთესო ტრადიციებს, ენას, კულტურას, ამავე დროს ცხოვრობს საბჭოთა კავშირის ხალხების საერთო ინტერესებით.

ამ მეგობრობას დაუდგამს სურამში ძეგლი უკრაინის საამაყო ქალიშვილის ლესია უკრაინკისათვის და მირგოროდში — ჩვენი დიდებული დავით გურამიშვილისათვის. ამ მეგობრობის სიმბოლოდ დგას მოსკოვის ერთ-ერთ პროსპექტზე ქართული პოეტური სიტყვის გენიის, შოთა რუსთაველის ძეგლი...

ამ მეგობრობის ძალით დაკავშირებია საქართველო, საბჭოთა კავშირში შემავალ ყოველ რესპუბლიკას, ჩაბმულა შეჯიბრებაში მოძმე რესპუბლიკების ქალაქებთან თუ რაიონებთან, ცალკეულ მეურნეობებთან თუ ფაბრიკა-ქარხნებთან.

ამ მეგობრობის ძალითა და რწმენით დიდი საბჭოთა ოჯახის დასაცავად გაგზავნა მან ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად 678 ათასი რჩეული შვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაგან თითქმის ნახევარი ჩაიფერფლა ომის ცეცხლოვან გზებზე, თბილისიდან — ბერლინამდე გათხრილ საძმო საფლავებში.

იმ უდიდეს ბოროტებას, რაც მეორე მსოფლიო ომმა ჩაიდინა, სამყაროს 50 მილიონი ადამიანი შეეწირა და დარჩა 50 მილიონი გაპარტახებული ოჯახი, მათი ქვრივ-ობოლი, უპატრონო, გაუბედურებული ადამიანებით. და ბუნებრივია რეაქცია, რომელიც ამ მსოფლიო ტრაგედიას უნდა მოყოლოდა: არათუ ისინი, ვინც თავს იცავდა, მტერს იგერიებდა და ჩვენი მიწაწყლიდან ერეკებოდა, არამედ ბევრი მათგანიც, ვინც იმ საშინელ სისხლისღვრაში ძალით თუ უნებლიედ იყო ჩათრეული, შეზარა ამ ტრაგედიამ.

კაცობრიობა დაღალა კაცთაკვლამ და მწუხარებამ, შეაძრწუნა ახალი ომების მოსალოდნელობამ და ახალი სამშვიდობო და სამეგობრო გზების ძიება დააწყებინა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებულმა, ამ მოძრაობამ სადღეისოდ გრანდიოზული მასშტაბები მიიღო. მშვიდობისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის უახლოეს თანამებრძოლებად ამოუდგნენ გვერდში საბჭოთა კავშირს სოციალისტური ქვეყნები. შემდეგ მეგობართა და მშვიდობისთვის მებრძოლთა წრე გაფართოვდა... თანამებრძოლ ხალხებსა და ადამიანებს კი ებადებათ სურვილი ერთმანეთთან შეხვედრის და დაახლოებისა, ერთმანეთის ცხოვრების — ეკონომიკის, ჩვევების, კულტურის გაცნობისა.

ამ რამდენიმე ხნის წინ, 6 დელეგატს საქართველოდან, საშუალება მოგვეცა მონაწილეობა მიგვეღო ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებაში — ე. წ. „მშვიდობის დღეებში“. ეს კონფერენცია ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში ჩატარდა და 4 დღეს მიმდინარეობდა. გარდა ნორვეგიისა, ვეწვიეთ დანიის, შვეციის, ფინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის საზღვაო ქალაქებს. ვმონაწილეობდით ამ ქალაქებში გამართულ მიტინგებსა და კონფერენციებში და კიდევ და კიდევ ვრწმუნდებოდით, რა გულმხურვალებით ეძებენ ადამიანები საერთო ენას, საერთო სამშვიდობო გზებს, როგორ ცდილობენ გაუგონ და დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

ასევე ურთიერთდაახლოებას, ურთიერთდახმარებასა და თანამშრომლობის გაძლიერებას ისახავდა მიზნად სოციალისტური ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ქალთა პრესის ხელმძღვანელთა შეკრება-სემინარი, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში ქ. მოსკოვში ჩატარდა და რომელსაც სოციალისტური ქვეყნების 19 და საბჭოთა კავშირის ქალთა 20 ჟურნალის რედაქტორი ესწრებოდა.

ბუნებრივია, რომ ხალხთა ინტეგრაციის ამ დიდ პროცესში უდიდესი როლი მიეკუთვნება ენას, როგორც ხალხთა დაახლოებისა და შეკავშირების საშუალებას, მეგობრობის განმტკიცების საშუალებას. ამგვარად, უცხო ენების შესწავლისაკენ სწრაფვა მოდას კი არ შემოჰყოლია, მოვლენათა მსვლელობის აუცილებლობით იქნა განპირობებული.

და ჩვენ სულ უფრო და უფრო ვგრძნობთ ამ აუცილებლობას არა მარტო ტურისტულ მოგზაურობებსა და დელეგაციებში, ან უცხოელ სტუმრებთან შეხვედრისას, ანდა კონფერენციებსა, კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე, რომლებმაც ასე ფართო, საყოველთაო ხასიათი მიიღო, არამედ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, როდესაც გვჭირდება, ან გვაქვს სურვილი, უშუალოდ გავეცნოთ ამა თუ იმ მეცნიერის ნაშრომს, ამ მწერლის შემოქმედებას.

ყოველდღიურად იზრდება საბჭოთა კავშირის როლი მშვიდობისათვის ბრძოლაში, ამის მაჩვენებელია სამშვიდობო ვიზიტები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის და მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისა საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკაში... ვიზიტები საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებისა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში; ის მუშაობა, რომელიც ყოველდღიურად მიმდინარეობს მოსკოვში, კრემლში; ახლახან გამართული მშვიდობის საერთაშორისო კონგრესი მოსკოვში..

ხოლო საბჭოთა კავშირის პოპულარობის ზრდასთან ერთად, დღითი დღე იზრდება რუსული ენის პოპულარობაც და იგი იქცევა ერთ-ერთ ძირითად საერთაშორისო ენად. რუსულ ენას სწავლობენ ამა თუ იმ უცხო ქვეყნების სკოლებსა თუ ინსტიტუტებში ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებულოა ამა თუ იმ უცხო ენის შესწავლა. ამიტომაა, რომ რუსული ენის სწავლების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს ეძღვნება სიმპოზიუმები, კონგრესები. ამას წინათაც ასეთი საერთაშორისო კონგრესი ჩატარდა ბულგარეთში და მასში 51 ქვეყნის 1.500 დელეგატი მონაწილეობდა.

სტოკჰოლმის ერთ-ერთ სკოლაში, სადაც მოსწავლეები ეუფლებიან მათთვის სასურველ, ნებისმიერ უცხო ენას, ჩვენ გავეცანით რუსული ენის შესწავლის მეთოდებს, ლაბორატორიის მუშაობას, მასწავლებელს, მოსწავლეებს და — რა თავმომწონედ გამოიყურებოდნენ ბავშვები, რომლებსაც მეტნაკლებად შეეძლოთ ჩვენთან გამოსაუბრება.

არიან ადამიანები, რომლებიც ათეულ უცხო ენას ფლობენ და არ შეიძლება მათ არ შენატრო. — ისინი ხომ ფენომენალური ნიჭით არიან დაჯილდოებულნი, მაგრამ ჩვენთვის, გარდა დედაენისა, რუსული ენის ზედმიწევნით და ერთი უცხო ენის საშუალოდ ცოდნა მაინც აუცილებელია.

დიახ, დღეს კულტურული ადამიანისათვის, რაგინდ მრავალრიცხოვანი და ძლიერი ქვეყნის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს, მხოლოდ მისი მშობლიური ენის ცოდნა არა და არ კმარა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ოჯახში, სადაც ჩვენ მოძმე ერებთან ყოველდღიურ კონტაქტში ვიმყოფებით, რუსული ენა ჩვენი საერთო ენაა. მისი მეოხებით ვეცნობით კაცობრიობის კულტურის უძვირფასეს ნიმუშებს და ამავე ენის საშუალებით გაგვაქვს რესპუბლიკის გარეთ ყველაფერი, რაც ღირს ჩვენი ხალხისათვის თავმოსაწონად.

მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს რომელიმე ენის დაპირისპირებას — მეორესთან. სხვისი ენის არ ცოდნა არ ცოდვაათ — იტყოდნენ, მაგრამ რუსული ენის არცოდნა დღეს, კულტურული საბჭოთა ადამიანისათვის წარმოუდგენელია, მშობლიური ენის არ ცოდნა და მისი სიკეთის შეუფასებლობა ხომ მიუტევებელი დანაშაული. „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს...“ ამ გარდაუვალი ჭეშმარიტების შეგნებაა, ასე მტკივნეულად რომ განვიცდით ქართველი კაცის დამახინჯებულ ქართულს. ამ ჭეშმარიტების ღრმა შეგნებით ვიბრძვით ენის სიწმინდისათვის.

განა მშობლიური ოჯახის, ერის, ენის სიყვარული გამორიცხავს სხვისი ოჯახის, ერის, ენის პატივისცემასა და სიყვარულს? ანდა, თუ ადამიანს თავისი ოჯახი, ერი და ენა არ უყვარს, სხვისას შეითვისებს და შეიყვარებს?

ქართველი კაცის საფიცარი მუდამ მისი დედა, ენა და სამშობლო იყო, მაგრამ იგი ვიწრო, ეროვნულ ჩარჩოში არასოდეს ჩაკეტილა. ჩვენ გვახარებს ყოველი ქართველი კაცის სიკეთე, ეროვნული სიამაყით გვავსებს მისი ყოველი გამარჯვება, მაგრამ ჩვენში კაცი კაცს განა მხოლოდ ეროვნული მაჩვენებლებით დამეგობრებია? განა ჩვენთვის მეტი პატივისცემის ღირსი არ არის არაქართველი, ვინც აქ, ჩვენს გვერდით შრომობს პატიოსნად ან შორეულ ქვეყანაში ილწვის ქართული კულტურის საკეთილდღეოდ, ვიდრე ის თანამემამულე, ვინც ჩვენი ხალხის სახელსა და ღირსებას შეურაცხყოფს?

კაცური კაცობა, კარგი აღზრდილობა და ჭკუა იმაშია, ცუდი და კარგის გარჩევა მოახერხო და ყველას თავისი მიუზღო.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“. ამბობს ჩვენი ხალხის დიდებული მგოსანი შოთა რუსთაველი.

ამ რწმენით აშენებს სამეგობრო ხიდებს და თავისი წილი სიყვარულით შედის საკაცობრიო ცხოვრებაში ჩვენი სიცოცხლისმოყვარე, კაცთმოყვარე, შრომისმოყვარე კეთილი ხალხი.

მარიკა ბარათაშვილი



ნანა მჭედლიძე

# იმერული ესკიზები

ნანა მჭედლიძე, ავტორი ამ ესკიზებისა, მთელი საქართველოსათვის ცნობილი რეჟისორი ქალი გახლავთ. დიდიხანია მაყურებელთა აღიარება მოიპოვა მისმა ფილმებმა: „მოდის მატარებელი“, „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“, „გელა“, „დიდედები და შვილიშვილები“.

მასზე, როგორც რეჟისორზე, აუცილებლად უნდა ვისაუბროთ ჟურნალის ფურცლებიდან. მაგრამ, ნანამ ჯერჯერობით თავისი „იმერული ესკიზები“ შემოგვთავაზა, თბილი, ნათელი ჰუმორით მოხატული ესკიზები. ვფიქრობთ, რეჟისორ ქალთან ასეთი შეხვედრაც საინტერესო იქნება.

მხატვარი დ. ერისთავი

რაღაც განსაკუთრებულ ხასიათზე ვდგები ხოლმე ხონში გამგზავრებისას. ვცდილობ ლამაზად მეცვას, კარგად გამოვიყურებოდე. ალბათ იმიტომ, რომ იქ დავიბადე, იქ გავატარე ბავშვობა და დღემდე არ ვწყვეტ ურთიერთობას ჩემს მშობლიურ მხარესთან. ერთადერთი ლამაზი თეთრი კაბა მქონდა და სული მიმდიოდა, იმ კაბით ხონის ბულვარში როდის გავისეირნებდი. ვერ აგიწერთ, როგორ ვუფრთხილდებოდი მატარებელში, „პეწი“ არ დაეკარგოს-მეთქი.

და მართლაც, დილით სამტრედიაში რომ ჩავედი, სახლიდან ახლად გამოსულს ვგავდი. თეთრ კაბაზე კმაყოფილებით დავიხედე და ხონის გზისაკენ გავეშურე.

სალაროსთან ერთი გამოხუნებული ავტობუსი იდგა და გარს უამრავი ხალხი ეხვია. ბილეთები დიდიხანია გაეყიდათ და ახლა ტრანსპორტში ასვლისთვის იყო გაფთრებული ბრძოლა. იმედდაკარგული ვიდექი განზე.

— უბილეთოდ წამიყვან? — მოწიწებით შევეკითხე მაზუთში ამოგანგლულ შოფერს.

შოფერმა არაფერი მიპასუხა, ყურადღებაც არ მომაქცია და მანქანისკენ წავიდა.

ათასნაირი ხაბაკით: კალათებით, ტომრებით, შინაური ფრინველებით დატვირთული ხალხი დიდი ვაი-ვაგლახით ადიოდა ავტობუსში. ადგილის მოლოდინში ჩემს მეტი არავინ იდგა: ყველა მოთავსდა ამ ავტობუსში, მაგრამ ვაი ამ მოთავსებას, კალათები, ხურჯინები, ტომრები, ქალები, კაცები, ბავშვები, ქათმები, ბატები და ინდაურები სულ ერთმანეთში იყო არეული.

ინსტრუმენტების ჩხრიალით ჩამოიარა შოფერმა და რაც შეიძლება ხმადაბლა ჩამილაპარაკა:

— ჰე, მიდი ახლა და შეეტენე.

ავტობუსი ათუხთუხდა და ხონის გზას გაუდგა.

მგზავრები შესანიშნავ ხასიათზე დადგნენ. ჰყვებოდნენ მთისას და ბარისას. განსაკუთრებით ყაბალახიანმა გამოიჩინა ამ მხრივ თავი.

ქუთაისში ერთი ათიოდე მგზავრი კვლავ შემოემატა ავტობუსს, მათ შორის ას წელს მიტანებული მოხუციც, იგი ძლივს ამობობღდა. უფრო სწორად ხალხის ტალღამ შემოიყვანა ავტობუსში.

— ბაბუა, თქვენ წინიდან უნდა შემობრძანებულიყავით! — თავშეკავებული განაწყენებით მივმართე მოხუცს, რომელმაც თითქოს დამიმიზნაო, ჯოხი პირდაპირ შუბლში მომახვედრა.

„ჩამობრძანდით მაქედან და ამობრძანდით წინიდან“...

„ჩამობრძანდით უკნიდან და აბრძანდით წინიდან“... ასეთი ვარიაციებით გადადიოდა ეს ჩემი ნათქვამი და ახლა ეს გახდა ხელიხელ საგოგმანებელ მასალად მგზავრთათვის...

ღანირში შევედით. ერთ ძველებურ ოდაზე სამგლოვიარო ჩარჩო გამოეკიდათ. სურათზე მშვენიერი ქალიშვილი იყო აღბეჭდილი, ქვემოთ გაკრულ შავ ქსოვილზე კი ოქროსფერი ასოებით ეწერა“ „ცხარე ცრემლით დავტირი ჩემს ერთადერთ ქალიშვილს. მისი სამუდამოდ გაუხარელი და გაუბედურებული მშობელი მამა“. და ეს წარწერა მწუხარე ლექსით მთავრდებოდა.

კიბეზე იჯდა უბედური მამა, ჯოხს დაყრდნობოდა და გარინდებული დასჩერებოდა დედამიწას.

ძლივძლივობით გავყავი თავი ფანჯარაში და გოგონას სურათს შევხედე: მხიარული სახე ჰქონდა, თითოეული ნაკვთი უცინოდა. ამაზრზენი იყო იმის წარმოდგენა, რომ ეს ჯანმრთელი და სიცოცხლით სავსე არსება მიწაში იწვა.

— რა მოუვიდა საცოდავს? — ვიკითხე და ცრემლი მომერია.

— გათხოვდა, ბატონო.

— როგორ, გათხოვდა და მერე მოკვდა? — ვერ მივხვდი.

თურმე მამა ქალიშვილის გათხოვების სასტიკი წინააღმდეგი ყოფილა, გოგო მაინც გაპარულა სახლიდან და გათხოვილა. აღშფოთებულ მამას შვილი მკვდრად გამოუცხადებია და ქვეყნის დასანახად ოდაზეც კი გამოუკრავს სამგლოვიარო ჩარჩოში ჩასმული მისი სურათი.

— ცუდ კაცს გაჰყვა ცოლად? — გავილიმე მე.

— რატომ, რა უჭირს, კარგი ბიჭია, იმ გოგოს კი მოსწონს და...

თანდათან ვშორდებოდით „გულდამწვარ“ მამის სახლკარს. მისთვის ჩემს მეტს არავის მიუქცევია ყურადღება (შეჩვეული იყვნენ, ალბათ, ამნაირ ამბავს).

გზაზე პატარ-პატარა სახლები კოპწია დედოფლებივით გვეგებებოდნენ. ხასხასა კოინდრით დამშვენებულ, გაწკრიალებულ ეზოებში ხმელ-ხმელი ქალები ჭიდან წყალს იღებდნენ და ცხვირმომტვრეულ დოქებში ასხამდნენ.

ძაღლები ყეფა-ყეფით გვაცილებდნენ სოფლის ბოლომდე, მერე დაოხებულნი, მაგრამ კმაყოფილნი, ძუნძულით ბრუნდებოდნენ უკან.

ხონში რომ ჩავაღწიეთ, ჩემს თეთრ კაბას ისეთი დღე ადგა, რომ ვერ მიხვდებოდი, ადრე რა ფერისა და ფორმისა იყო.

კაბაზე ხელი ჩამოვისვი, იქნებ ცოტა გასწორდეს-მეთქი და ჩვენი სახლისაკენ მიმავალ გზას დავადექი.

აგერ ბაღი, ხონის დიდი, ლამაზი ბაღი. აქ წინათ ყოველ დღესასწაულზე „ალეგრას“ მართავდნენ, ბაღის კარი დაიკეტებოდა და უბილეთოდ არავის უშვებდნენ. ჩვენ, ბავშვები, რა თქმა უნდა, მაღალი ქვის ყორიდანაც შესანიშნავად ვხტებოდით და უბილეთოდ შევიპარებოდით ხოლმე. მთელი დღის განმავლობაში მიდიოდა მოსამზადებელი მუშაობა. დედაჩემიც, როგორც მასწავლებელი, იქ იყო და რაღაც საზოგადოებრივ დავალებას ასრულებდა. მახსოვს ამხანაგებიანათ მივადექი დედაჩემს, მთელი დღე ტყეებში, სახურავებზე და ხეზე ფორთხვისაგან ერთიანად დაკაწრული, თმაგაწეწილი და ტანსაცმელშემოგლეჯილი. დედას შერცხვა და „წადი სახლშიო“ მიქნია თვალი. მე გავჯიქდი, არ ვაპირებდი წასვლას.

— პატარა გოგო, წადი სახლში! — ვითომ მისი შვილი არ ვიყავი, ისე მითხრა დედამ.

— კი მაგრამ, ეს თქვენი შვილი არ არის? — იკითხა ერთმა ნაცნობმა.

— დიახ, — უხერხულად გაიცინა დედაჩემმა და ისე მომქაჩა, კინაღამ მომგლიჯა მკლავი.

...იმ გადასახვევში ნაზი ბახია ცხოვრობდა. ძალიან ლამაზი გოგო იყო. ისე მომწონდა, რომ სულ ვცდილობდი როგორმე მას დავმსგავსებოდი.

— დედა, ისეთი კაბა შემიკერე, ნაზი ბახიას რომ აცვია. — ვეხვეწებოდი დედას.

— ის ნაზია, შენ კი ქაჯი ხარო, — მეტყოდა დედა.

ბოგირის თავში ჩვენი მეზობელი მენიკო იჯდა და როგორც ყოველთვის, თავის ავადმყოფობის ამბავს უყვებოდა კუთხის მეზობლებს.

მენიკო სულ ცუდ ხასიათზე იყო, სულ იწყევლებოდა; ხონში ასეთი გამოთქმაც კი არსებობდა: „რა მენიკოსავით იწყევლებიო", „სულ გლახა ხასიათზე ხარ მენიკოსავითო".

მახსოვს, ერთხელ მენიკომ ლანძღვა-გინებით გადმოჰყრა შუკა, ფანქარი და ქაღალდი მისცა ქეთო მასწავლებელს და უთხრა:

— დამიწერე მაქანე: მაგ ძველი ვაჭარი, გამფლანგველი და ჩიხოტკიანი...

— კი მაგრამ, მენიკო ბებია, რა შუაშია აქ... — დაიწყო ქეთომ.

— შენ ის დაწერე, რასაც გეუბნები! — ხმას აუწია მენიკომ.

— გამარჯობათ! — მივესალმე მეზობლებს და გადავკოცნე.

მენიკომ თავი იქით მიიბრუნა.

— გამარჯობა, მენიკო ბებია. — პერსონალურად მივესალმე მენიკოს.

—ისე გაგიმარჯოს ღმერთმა, როგორც მე ვარ გამარჯვებულიო, — არც გამოუხედავს ისე წაიბურტყუნა, — გამეიარე, შენ არ გეიარეო, — დაუძახა პატარა ბიჭს, რომელსაც საცერი მოჰქონდა.

— მენიკო ბებია, რა კარგად გამოიყურებით, ახლა როგორც ვატყობ, ჯანმრთელი ბრძანდებით.

ეს ვთქვი თუ არა, მენიკო აკივლდა:

— ა, შე ქალო, ხომ ხედავ, არავის არ ჯერა ავადმყოფი რომ ვარ, გეყურებოდა რომ მითხრა: კარგად ხარო? მე ვარ კარგად? ვისაც მე კარგად ვგონივარ, იმას არ ეღირსა კარგად ყოფნა, ვისაც ჩემი ავადმყოფობა არ ჯერა, იმას არ მოშორდა ავადმყოფობა...

მივდიოდი და უკანიდან მენიკოს წყევლა მომდევდა.

...მალე ჩვენი სახლი გამოჩნდა. რამდენი რამ მომაგონდა იმის დანახვისას...

სახლს დიდი შუშაბანდიანი აივანი ჰქონდა, რა ამბავში ვიყავით ამ აივანზე ბავშვები! ზაფხულობით, როცა მთელი ჩვენი ნათესაობა ხონში შეიყრიდა თავს, გავაგებდით აქ დიდ ფარდაგს, და ასე გაბწკარულებს გვეძინა ყველას ერთად. რამდენი სიხარული, რამდენი რომანტიულობა იყო ამაში! დეიდაშვილ-ბიძაშვილები მთელი ღამის განმავლობაში ერთმანეთს ვეჩურჩულებოდით, შემდეგ სიცილს ავიტეხდით. ოთახის ღია კარიდან „გეყოფათ, დაიძინეთო" გაისმოდა ხან ერთი, ხან მეორე დეიდის ბრძანება. ჩვენ ხმას დავუწევდით, ისევ ჩურჩულზე გადავიდოდით, თან ჩუმად ვხითხითებდით. მერე დაგვავიწყდებოდა სიფრთხილე და კვლავ ავუწევდით ხმას. „თქვენ კიდევ არ გძინავთ?" — მოისმოდა ოთახიდან. ჩვენ საბანს წავიფარებდით თავზე და ისე განვაგრძობდით ათასნაირი ამბების მოყოლას.

მამაჩემი აფხაზეთში მუშაობდა, საავტომობილო გზებსა და ხიდებს აშენებდა.

ჩვენ, მთელი ოჯახი ხან ხონში ვიყავით, ხან კიდევ გუდაუთაში. როცა ხონში ვიყავით, მამა ყოველ შაბათს ჩამოდიოდა და კვირა საღამოს ბრუნდებოდა სოხუმში.

ხელპირის დაბანასაც არ ვაცლიდით, ისე დავსვამდით ამ აივნის კიბეზე, მოვუსხდებოდით და ვუყვებოდით მთელი კვირის ამბებს. რა თქმა უნდა, ჩემს უმცროს ძმას ვინ დააცლიდა, სულ მე ვლაპარაკობდი. როგორც კი პატარა პაუზას დაიხელთებდა, ბიჭი დაიწყებდა:

— იცი, რა? მე და ნანა გუშინწინ გოშურაში რომ ვიყავით...

— მაგი მასე კი არ იყო, — მაშინვე შევაწყვეტინებდი მე და საკუთარი ინტერპრეტაციით განვაგრძობდი ძმის მიერ წამოწყებულ ამბავს.

ბიჭი გაჩერდებოდა, პირს დააღებდა და ისე მისმენდა. პატარა პაუზა ჩემგან და, კვლავ წამოიწყებდა რაიმე ამბავს:

—ნანას და ციალას რომ წავყევი ცხენისწყალზე...

— მაგი მასე კი არ იყო, — უცბათ გავაწყვეტინებდი და კვლავ სხაპასხუპით ვუყვებოდი ცხენისწყლის ამბავს. ბიჭი ისევ ისე პირდაღებული მისმენდა.

მარტო ჩემს ძმას კი არა, არავის არ ვაცლიდი ლაპარაკს. სტუმართან საერთოდ, აკრძალული მქონდა გამოსვლა.

ლაპარაკი ხომ იყო და იყო, საქციელითაც დიდი აუტანელი ვიყავი: სკოლიდან პირდაპირ სახლში არასოდეს არ მივიდოდი. სულ მოვივლიდი მინდორ-ველებს, ტყეებს, მეზობლებში ჩამოვივლიდი და ბოლოს კარგად დაღლილ-დაქანცული, ვიფიქრებდი სახლში მისვლას. დედაჩემი ხუმრობდა:

— ამ გოგოს თოკი უნდა გამოვაბა ფეხზე, საათს შევხედავ და, როცა გაკვეთილები დამთავრდება, გამოვწევ თოკს, სხვანაირად ვერ აგნებს სახლსო.

სასკოლო ჩანთას არ ვიშორებდი, პალტოს ჩაცმა კი სულ მავიწყდებოდა. თუ ჩავიცვამდი, სადაც დავკიდებდი, იქ დამრჩებოდა და იმ სიცივეში კაბის ამარა მოვკანკალებდი ქუჩაში.

— უჰ, როგორ მომშივდა! — ვიტყოდი და მივუჯდებოდი სუფრას, ჩემს ძმას კი სწორედ მაშინ მოუნდებოდა ზოოლოგიის სწავლა:

— ბაყაყი ცხოვრობს ჭაობში.

ქვეწარმავლებისა და ბაყაყების ხსენებაზე ჭამის მადა მეკარგებოდა.

— ცოტა ჩუმად არ შეგიძლია?

— რა გინდა, გაკვეთილს ვსწავლობ, — მშვიდად მაპასუხებდა და უფრო აუწევდა ხმას:

— ბაყაყი ცხოვრობს ჭაობში.

— გაჩერდი! — დავუყვირებდი და თეფშს დავავლებდი ხელს.

ბიჭი გარეთ გავარდებოდა, ვცდილობდი დამევიწყა ზოოლოგიის გაკვეთილი და ლუკმას მივიტანდი პირთან. ამ დროს კარი გაიღებოდა, ჩემი ძმა თავს შემოყოფდა და დაიძახებდა: — ბაყაყი, ბაყაყი, ბაყაყიო და იმით გახარებული რომ მადა საბოლოოდ დამიკარგა, გაიქცეოდა ეზოში.

სახლში ხომ სულ მექიშპებოდა, გარეთ კი, რაც არ უნდა მეკადრებინა მისთვის, ხმას არ გამცემდა.

როცა მე და ჩემი ამხანაგი ციალა ქაცარავა ბულვარში გასასეირნებლად მოვემზადებოდით, სუფთად ჩაცმულ-დახურული და საგანგებოდ თმადავარცხნილი, ჩემი ძმა აგვეკიდებოდა, გვერდით გამოყოლას ვერ ბედავდა და უკან მოგვყვებოდა.

— რა გინდა, რომ მოგვდევ, შე ქალოია, — ვუწყრებოდი. ბიჭი სიტყვას არ შემიბრუნებდა, თავჩაღუნული მისმენდა, მერე მობრუნდებოდა და ნელა წავიდოდა სახლისაკენ.

მე და ციალა ვყვებოდით ათასნაირ ამბებს. სულ დაგვავიწყდებოდა ბიჭის არსებობა. მივიხედავდით უკან, აგერ არ მოგვყვება ბიჭი ზორი-ახლოს?

— შენ კიდევ მოდიხარ? ამ წუთში წადი სახლში შე ასეთო, შე ისეთო, — არაფერ სათაკილო სიტყვას არ ვაკლებდი. ბიჭი კვლავ თავჩაღუნული მისმენდა, მისმენდა, შემდეგ მიბრუნდებოდა და წავიდოდა უკან. ჩვენ შეწყვეტილ საუბარს განვაგრძობდით, სულ გადაგვავიწყდებოდა ბიჭი. მივიხედავდით უკან და აგერ არ მოდის ისევ? სულ ასე დაგვდევდა კუდში.

...„აქამდე სად ხარო?" — გადამკოცნა ნინო ბებიამ და ყვინჩილას გაეკიდა.

„ნანა ჩამოვიდაო"? იძახდა ვერიჩკა და მორბოდა.

ის იყო სადილად დავჯექით, რომ ჩვენი მეზობელი დესპინე გადმოქაქანდა თავისი განუყრელი ჯოხით.

— მობრძანდით, მელეიხეო (ე. ი. მელიას გვარისაო), —მხიარულად გასძახა ბებიაჩემმა. დესპინე რაღაც ამბის მოსაყოლად ემზადებოდა, მაგრამ დამინახა თუ არა, ხელი მოიჩრდილა: „ნანა არ ხარ, შენო?" გადამკოცნა და პირველად ეს მკითხა: „რა ქენი, არ გათხოვდიო?"

— ჯერ სწავლა დაამთავროს, რა ეჩქარება, ბეჩა, დესპინე.—უთხრა ბებიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვერიჩკამ სუფრაზე დოქით ჭიდან ახალი ამოღებული წყალი შემოდგა და ნიგვზის წვენში ჩაწყობილი წიწილა გადმოგვილო ყველას.

— აჰ, მე არაფერი არ მინდა, — ხელები გაასავსავა დესპინემ და ამბის მოყოლა დაიწყო.

— რა ვნახე, შე ქალო, რა ვნახე: გამოვწიე კამოდი და ერთი ასი თაგვი იქნებოდა ერთ კუთხეში.

— აჰ, დესპინე, ასი არ იქნებოდა, ბეჩა, — უთხრა ბებიაჩემმა.

— ასი არ იქნებოდა, მჯრა, ორმოცდაათი კი იქნებოდა — გადაჭრით თქვა დესპინემ და თავსაფარი გაისწვნა.

— არც ორმოცდაათი იქნებოდა, შე ქალო, — თქვა ვერიჩკამ.

— ორმოცდაათი თუ არ იქნებოდა, ოცი ნამდვილად იყო.

— არც ოცი იქნებოდა, დესკას ვენაცვალე, — თქვა ბებიამ.

— ათი ნამდვილად იყო.

— არც ათი იქნებოდა.

— ხუთი კი იყო.

— არც ხუთი იქნებოდა, დესკა.

დესპინემ თავსაფარი შეიხსნა და ახლა ნიკაპზე ამოიხვია:

— ერთი იყო, მაგრამ იმხელა იყო, ასს უდრიდა.

ჩვენ ყველა გემრიელად შევექცეოდით სადილს. მხოლოდ დესპინე ლაპარაკობდა გაუჩერებლად და კერძისათვის ხელი არ უხლია. „რა გინდოდა შე უბედურო ნიკოლოზო, ხონი შენი იყო, მათხოჯი და ძეძილეთიო!“ ყვებოდა ვიღაცა მათხოჯელი ქალის ამბავს, რომელსაც თურმე არ სცოდნია სხვა ქვეყანა კიდევ თუ არსებობდა. „ულიცა მინავალა“... „გევიხედე, წამოწოლილა ტყემალნაჭამი ძაღლივით“ — ამნაირ გამოთქმას უხვად იყენებდა დესპინე. რა არ მოყვა, ვისი ამბავი არ თქვა. მეზობლის რძლებსაც გაკრა კბილი, ერთზე თქვა „მაკრინესავით სულ ფულებს ითვლისო“. სულ ჩამოთვალა, ვინ მოკვდა, ვინ დარჩა. მოხუცებულის სიკვდილს რომ გაიგებდა, დესპინე გადაირეოდა: „დედა, რა ქალი მომკვდარაო“. ახალგაზრდის გარდაცვალებაზე მაინცდამაინც არ შეიშლებოდა.

ვერიჩკამ სუფრის ალაგება დაიწყო. თეფშები აალაგა და ბოლოს დესპინეს ხელუხლებელ ღომსაც წამოავლო ხელი.

— რას შობი, შე საწყალო, ქე მიგაქ? — გაიკვირვა დესპინემ.

— აბა, არ მინდაო და, — ღომი ისევ მაგიდაზე დააბრუნა ვერიჩკამ.

დესპინემ იჭერა გული ლაპარაკით, უკვე გაციებული ღომი ნიგვზის წვენში ჩააწო და ფაქიზად მიიტანა პირთან. მერე, „გადმოდი, ერთი ძლაბო და ორი ენა ქაღალდი დამიწერე მინადორასთანო“, — დამიბარა და ტანის რხევით გაემართა შინისაკენ.

დესპინე რომ დაგიბარებდა და ბათუმში შვილებთან წერილს მიგაწერინებდა, ეს ჩვენთვის, ბავშვებისათვის დიდი პატივი იყო. პატარები რომ ვიყავით, არ გვენდობოდა, ახლა წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, პატიოსან ადამიანად რომ ჩამთვალა და წერილის მიწერა მომანდო. დამსვა მის გრილ, სუფთა ოთახში და მკარნახობდა: „შენ მაგას უთხარი“. მეც ვწერდი, რაც უნდა მეთქვა მინადორასთვის, ლიდასთვის, ან ალესათვის. „უთხარი?“ შემეკითხებოდა. „ვუთხარი, დესპინე ბებია“ — ვპასუხობდი მე. „კაი დაგემართოს, ახლა ეს უთხარი“. იმისათვის, რომ კარგად მომენდომებია, დესპინე ახუთ რამეს მეტყოდა: „ერთ ქალად მარტო შენი კისერი ღირსო“ და ისევ განაგრძობდა: „შენ მაგას უთხარი...“.

წავიდა თუ არა დესპინე ბებია, თავისი განუყრელი ჯოხის პაკაპუკით, ახლა მეორე მეზობელი, ოლია დეიდა გადმოვიდა ჩვენთან ვიზიტით.

ოლია, თურმე, ახალგაზრდობაში ულამაზესი ქალი ყოფილა. ჩემსობასაც კარგი იყო, შესანიშნავი საუბარი იცოდა. დღე და ღამე შეგეძლო გესმინა მისი საუბრისათვის და არ მოგწყინდებოდა.

საღამოს, ერთი ქარჩხაბელი ქალი გვესტუმრა პატარა ბიჭით. სტუმრებმა ძლვნად ერთი გოგრა მოგვიტანეს. ის მოძღვნილი გოგრა მოვხარშეთ და ვახშამს დავაყოლეთ.

მეორე დილით ქარჩხაბელი ქალი წასასვლელად რომ მოემზადა, პატარა ბიჭმა ერთი იკითხა: „ჩემი კვახი სად არისო“ და რომ გაიგო კვახი ამ ქვეყნად უკვე აღარ იყო, ღრიალი მორთო: „სად არის ჩემი კვახი და სად არის ჩემი კვახიო“, „სანამ ჩემ კვახს არ მომი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანთ, არ წავალ", „ჩემი კვახი და ჩემი კვახიო" — დიდხანს მოისმოდა გზიდან პატარა ბიჭის ხმა.

ბებიაჩემი რამოდენიმე დღით წავიდა მათხოჯში. ჩაჯდა დილიჟანსში, „რომი-ტორენტოს" ექსპრესივით რომ მოძრაობდა ხონსა და მათხოჯს შორის, და გაემგზავრა. წასვლის წინ დამიბარა, აბა, შენ იცი, ოჯახს როგორ მიხედავო, აგერ გოჭების საჭმელიო, აგერ წიწილებისო, დილას ძროხა ევტიხის გაატანეო, აბრეშუმი არ მოაშივო, დღეში სამჯერ აჭამეო და კიდევ მრავალი სხვა წვრილმანი დავალება დამიტოვა.

ბებიაჩემის წასვლა იყო და ჩვენი მეზობელი ავქსენტი გარდაიცვალა. რა თქმა უნდა, გადავცვივდით აგრაფინას შეცხადებაზე. ბებიაჩემი რომ ჩამოვიდა, კივილ-კივილით გაეშურა ავქსენტის სახლისაკენ, შევიდა და დაატირა: „ეს რა გიქნია ჩემს აქ არ ყოფნაში, ავქსენტიო" და ტირილ-ტირილით ჩემს გვერდით დაჯდა; „ეს რა მოგვივიდაო" — მუხლებზე ირტყამდა ხელებს და თან დროდადრო ხმადაბლა მეკითხებოდა: „რავა დამახვედრე სახლი, აბრეშუმი ხომ დაპურე დღესო". „დედა, დედა, ეს რა მოგვივიდაო?" — ისევ აუწევდა ხმას, შემდეგ ისევ მე გადმომხედავდა და ხმადაბლა მეტყოდა: „წიწილები როგორ არიან, ხომ აპურებდიო", მერე ისევ აუმაღლებდა ხმას: „ამას რას შევესწარითო", ტონს დაუშვებდა და სრულიად მშვიდი ხმით მკითხავდა: „გოჭები ხომ არ გადაგიშვია გადაღმაო". „დედა, — შეკივლებდა — ეს რა დღე გაგვითენდაო", „ევტიხის ძროხა ხომ გაატანე ამ დილასო". კაცები შემოდიოდნენ, იჩოქებდნენ და „ვაი, ვაიო" — თავში ხელს ირტყამდნენ.

ამ საქმისათვის სპეციალურად გამოყოფილი ორი კაცი მოვიდოდა, ძალით აayენებდნენ მოტირლებს, მერე სხვა პარტია მოვიდოდა და იჩოქებდნენ მიცვალებულის წინ: „ვაი, ვაიო" — თავგამეტებული იშენდნენ ხელებს ცხვირ-პირში. ის ორი პერსონაჟი მოვიდოდა და ახლა ამათ წამოაყენებდა ფეხზე. უცბად ადგომა არ შეიძლებოდა, მოტირალები ცოტა უნდა გაძალიანებულიყვნენ და ამ ორ პერსონაჟს დიდი გაჭირვებით უნდა აეგლიჯა ისინი იატაკიდან. ერთი მოხუცებული კაცი შემოვიდა, როგორც წესი იყო, დაემხო მიცვალებულს და წაიშინა ხელები თავში, თან „ვაი, ვაიო" — იძახოდა. ის ორი სპეციალურად გამოყოფილი კაცი რაღაც ლაპარაკს შეუყვა და სულ დაავიწყდათ მოხუცებული.

საწყალ ბებერს კინაღამ გული შეუწუხდა ამდენი „ვაი, ვაის" ძახილით და თავ-პირში ხელების ცემით. ქვეშ-ქვეშ აქეთ-იქით იყურებოდა — „არავინ მოდისო?" როგორც იქნა გაახსენდათ და მივიდნენ მის ასაყენებლად. მოხუცებულმა ახლა უფრო თავგამეტებით წაიშინა ხელები თავში, თან „ვაი, ვაიც" უფრო ხმამაღლა მიაყოლა. როგორც იქნა, ძლივს ააგლიჯეს ადგილიდან და დიდი პატივით დასვეს სკამზე.

ასეთი იყო ჩვეულება: მიცვალებულის ოჯახში რიგრიგობით გადაქონდათ სადილები მეზობლებს. ბებიაჩემიც და ვერიჩკაც დიდი მონდომებით აკეთებდნენ ჭირისუფლებთან გადასატან სადილს. ბებიაჩემი ვერიჩკას ეუბნებოდა: „მარილი ხომ ზომაზე აქვს მაგ ლობიოს, ნახე ერთი, არ აკლდეს და იმ ხალხში არ შევრცხვეთო".

ღმერთმა აცხონოს ავქსენტი, ჩუმი, კეთილი კაცი იყო და კარგადაც მიირთვა მის ქელეხში ხალხმა ლობიო, თევზი და ბრინჯის ფლავი.

ასეთი მოგონებებით აღსავსე ვბრუნდებოდი ახლა თბილისში. ბოგირის თავში მენიკო დავინახე, იჯდა და მეზობლებს უმტკიცებდა. ვკვდებიო.

— უი, მენიკო ბებია, რა გლახა ფერი გადევს, რამე გაწუხებს? — ვკითხე მენიკოს და საშინელი სახე მივიღე.

— შენ გაგახარა, ღმერთმა, — გული აუჩვილდა მენიკოს, — ა, შე ქალო, ძლივს არ დამიჯერა ერთმა ადამიანმა რომ ავადა ვარ? შენ არ მოგეკარა არაფერი ავადმყოფობა, შენ იარე წალმა. საწყალი დედაშენიც ღვთისნიერი ადამიანი იყო, იმას გაუწყრა ღვთის მადლი. ვინც ის დაღუპა, და შენც იმას დამგვანებიხარო. კაი დედ-მამიშვილი კარგი გამოვა, აბა არ იცითო?

მენიკოს და დანარჩენ მეზობლებს გამოვემშვიდობე და სამტრედიისაკენ მიმავალ გზას დავადექი.

— შენ გაიხარე, შენ შეგეწია მამაზეციერი, შვილო, შენ იარე წალმა. — მომდევდა მენიკოს ლოცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მწველავი მარგალიტა კვანტრიშვილი

# დღე ნათელია და სიხალისით სავსე

(ჟურნალისტის დღიურიდან)



ექთანი ოლია ყანჩაველი

ავტომანქანის ხმამ დააფრთხო ქალამი ბუჩქებზე გამობმული უშობელი. დაოთხილმა პირუტყვმა ტანაყრილ ანწლებში გაიშლიგინა და მერე, დაქაჩული თოკით თავმოდრეკილი, შეშინებული მიაჩერდა გზაზე მოთუხთუხე „კოლხოზნიკს". მანქანა ნაურმალს მიჰყვა, მდინარესთან ჩაუხვია, მასზე გადებული, საცალფეხოდ გამოყენებული ხის მორის გვერდით ფონი მოძებნა და მდინარის მეორე მხარეს სილაში ჩაეფლო.

— ესეც ამ პატარა ნაკადულის დიდი დანატოვარია გუშინწინდელი წვიმების შემდეგ, — ჩაგვილაპარაკა ვახტანგ სარალიძემ და უკუსვლით მიმავალი მანქანა ხელახლა ჩააგდო სიჩქარეში. დაბრკოლება გადაილახა და ფართო, კეთილმოწყობილ გზას შეუერთდა ნაურმალიც.

წინ, აკიდებულ ფერდობზე ფირუზისფრად მოლივლივე ზვრებია. სიმწვანეში თეთრი თავსაფრები და იმერელი გლეხის განუყრელი ბოლოგაშლილი საზაფხულო ქუდები მოჩანს.

— აი, იმ ბოლო ნაკვეთში მუშაობს რუსუდან კვანტრიშვილი, — გვითხრა ვახტანგმა, — ეს მისი ნაკვეთი არ გეგონოთ. დღეს ის სასოფლო კლუბის გამგე მაგული გოგოლაძესა და კოლმეურნეობის მოანგარიშე გოგუცა ყანჩაველთან ერთად ბიძია მარკოზის მამითადია. 75 წლის კაცია მარკოზ დუგლაძე, მაგრამ კოლმეურნეობის ერთი ჰექტარი ვენახი აქვს მოსავლელად გაპიროვნებული. შარშან 110 ცენტნერი ყურძენი მოიწია. ახლა ავადმყოფობამ დაჩაგრა და

ვენახში, ჩვენმა ქალებმა წაუკრეს ხელი...

— ჯერ ადრეა, ვახტანგ, ადრე, არ დაგვიმთავრებია, — გამოსძახეს ქალებმა თავმჯდომარეს, ეგონათ ჩვენს წასაყვანად მოსულაო, მაგრამ უცხოებს რომ თვალი გვკიდეს, ჩაჩუმდნენ.

ვენახის მწკრივში მივყვები რუსუდანს. საოცრად ხელმარჯვე ქალიაო, მითხრეს და ვხედავ, თუ როგორი ოსტატობით ახვევს ვაზის ყლორტებს. ყოველნაირად ვცდილობ გადავახვევინო იმერელი ქალის ზრდილობისათვის, რათა ჩემთან საუბრით არ გაცდეს.

— მერეც მოვასწრებ! — მიღიმის რუსუდანი და ჩემს ყოველ შეკითხვაზე, ვიდრე პასუხს არ გამცემს, ჩერდება.

— დიდხანს რომ ვაპირებდე თქვენთან დარჩენას, ყველაფერი გასაკეთებელი დაგრჩებათ!

— რატომ, ჩემზე გაპიროვნებული ვენახიც და საკარმიდამოც დამუშავებული მაქვს უკვე. აი, მარკოზ ბიძიას უჭირდა ცოტა და ამასაც მალე მოვრჩებით...

თურმე მარტო მარკოზ ბიძიას როდი წაშველა ხელი რუსუდანმა. ნოზირ კვანტრიშვილი რამდენიმე თვით სამხედრო შეკრებაზე გაუწვევიათ და კოლმეურნეობაში გაპიროვნებული 0,40 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი და საკარმიდამოც დასამუშავებელი დარჩენია. ნოზირის მეუღლე ნანა, ორი მცირეწლოვანი ბავშვის დედა, მესამესაც ელოდა და ფიზიკურ შრომას როგორღა შეძლებდა. ასეთ დროს დასახმარებლად განა დაძახება და შეხსენება უნდა გინდოდეს კაცს? ჰოდა, როცა არავის დაუძახნია რუსუდანისათვის, ისე დატრიალებულა უკაცოდ დარჩენილი ოჯახის მისაშველებლად, თავისზე გაპიროვნებულ 0,30 ჰექტარ ახალშენსა და 0,63 ჰექტარ მსხმოიარე ვენახთან ერთად ნოზირის ოჯახზე გაპიროვნებულიც ერთგულად დაუმუშავებია.

— ორ კაცს გაუჭირდება ასეთი დიდი ფართობის მორევა და თქვენ როგორღა შესძელით?

— მონდომება თქვი, თორემ შეუძლებელი რა არის დღეს, ყველაფერი მშრომელი ადამიანისთვისაა გაჩენილი. თოხითა და კავით ხომ არ ვმუშაობთ, რომ გაგვიჭირდეს. მანქანა ხნავს და თოხნის, მანქანა წამლავს და გოგირდს აფრქვევს ვენახს, და ვაზის აკვრა და ახვევა, გაფურჩქვნა და ხელისშევლება ცოცხალ ადამიანს კიდევაც უნდა უხაროდეს, უნდა შეხედოს, წლის მოსავალი თვალდათვალ როგორ შემოდის. როცა მოძალებული სამუშაოები გვაქვს, ბევრჯერ მინატრია, ნეტავ ღამე დღედ აქცია-მეთქი. სხვანაირი სიყვარული იცის, ბატონო, მიწამ, განსაკუთრებით კი ვაზმა...

მეუბნება რუსუდანი და ისეთი თვალებით უცქერის ჩემს ხელებს, მგონია გულში ფიქრობს: „ეჰ, თქვენ რას გაიგებთ, რა არის მიწის სიყვარული, მოდით, ჩემს გვერდით დაექით, ჩემსავით მზეში დაიხრუკეთ, წვიმაში დასველდით, ცის გრუხუნზე გარეთ გამოვვარდით შეშინებული, სეტყვა არ მოვიდეს და ვენახი არ წამიხდინოსო და მერე გაიგებთ, რა არის მიწისა და ვაზის სიყვარული“...

— რომ გისმინოს ბუნებამ და ღამეც დღედ იქცეს?

— მაშინ ორჯერ მეტ ვაზს გავიპიროვნებდი დასამუშავებლად, — გადამდები, ჯანსაღი სიცილით იცინის რუსუდანი.

მარტო ბეჯითი მევენახე როდია რუსუდანი. იგი სოფელში კარგ მეაბრეშუმედაც ითვლება. ჯერ აბრეშუმის მურის გამოყვანაზე მუშაობს ინკუბისტად, მერე ყველაზე მეტი აბრეშუმი მოჰყავს. წელსაც 3 გრამი მურიდან ნაცვლად 20-ისა 30 კილოგრამი პარკი მოიყვანა.

— ფოთოლი არა გვაქვს, ფოთოლი, თორემ 3 გრამი რას მიქვია, თუ მოყვანაა, ბევრი უნდა მოიყვანო. მაგრამ, იცით, ზოგჯერ დიღმის მეურნეობიდანაც მოგვქონდა თუთის ფოთოლი, — წუხს რუსუდანი.

საწუხარიც არის ზესტაფონიდან თუთის ფოთოლზე თბილისში რომ წამოხვალ კაცი!

საზოგადო საქმისადმი ერთგულებამ რუსუდანი სოფლის თვალში აამაღლა, მისი სიტყვა თუ მოქმედება პატივსაცემი გახადა. თანასოფლელებმა რუსუდანისადმი პატივისცემა იმითაც გამოხატეს, რომ წელს უკვე მეოთხეჯერ აირჩიეს სასოფლო საბჭოს დეპუტატად. სამი შვილის გამზრდელს, ავადმყოფი მეუღლის პატრონს, შინ თუ გარეთ საქმე არასოდეს რომ არ გამოელევა, როგორც დეპუტატსაც, საზრუნავი და თავსატეხი ბევრჯერ გასჩენია, მაგრამ არასოდეს შემკრთალა სიძნელის წინაშე, ოჯახის საქმე ხშირად მოსწავლე შვილებისათვის შეუტოვებია ხელში და თვითონ სოფლის საქმისა ან გაჭირვებული მეზობლისათვის მიუხედავს.

მშრომელ ქალს სიცოცხლე უხარია, უხარია კარგი დღის გათენება, კარგი საქმის მოთავეობა, კარგი სახელი და ყველაფერი ის, რაც მის ირგვლივ ხდება:

...წინათ კაცები შესაწამლი ზურგის აპარატით და ქალები მათთვის წყლის ზიდვით წყდებოდნენ წელში, მაგრამ ამ ორივე შრომატევად საქმეს ახლა მანქანები აკეთებენ.

...წინათ ურემი ეფლობოდა ტალახიან გზებზე, ტვირთაკიდებულნი ჩადიოდნენ ზესტაფონში ალავერდელი ქალები და ისევ ნავაჭრით დაზურგულნი სოფლისაკენ ფეხით მოუყვებოდნენ გზას, ახლა დღეში სამჯერ ამოდის ავტობუსი სოფელში, საჭიროების შემთხვევაში კოლმეურნეობის მანქანებიც მათს განკარგულებაშია. თუ არა და, რაღა სხვაგან უნდა წავიდნენ, სოფლის მაღაზიებში, რასაც გინდა, იმას იყიდი. არ იქნება? შეუკვეთავ და მეორე კვირაში გაუჩინარს გაგიჩენენ.

...წინათ დედებს ჩვილი ბავშვები საკოლმეურნეო ფართობებში თან მიყავდათ. ყველას როდი ჰყავდა ბავშვის მეთვალყურე მოხუცი ოჯახში. ახლა ალავერდელი დედები გულმშვიდად მიდიან სამუშაოდ, კოლმეურნეობის საბავშვო ბაღში მათს პატარებს კიდევაც აჭმევენ, ასმევენ, აძინებენ, ეთამაშებიან და ართობენ, სწორედ ამ იმედით შრომობენ პატარა ელზა ნანიკაშვილის მშობლები; მამა — ბენია მეცხოველეობის ფერმაში, დედა — ქუქუნა კოლმეურნეობაში. პატარა ნინო არსენიშვილის, დათო კვანტრიშვილის, ლამზირა კვანტრიშვილის მშობლები და ბევრი სხვანი ემადლიერებიან საბავშვო ბაღის გამგეს ეთერ კაპანაძეს, აღმზრდელებს — დარეჯან სვანიშვილს, ნანა კავილაძეს, ნანული არეშიძეს, მზარეულ ეთერ ნებიერიძესა და დამლაგებელ შურა ყიფიანს, რომლებიც მშობლიური სითბოთი დასტრიალებენ თავს პატარებს, სოფლის მომავლებს.

...წინათ ზესტაფონის სახელოსნოებში დადიოდნენ აქაური ქალები კაბის, პალტოს და სხვა ტანსაცმელის შესაკერად, ახლა სოფლის საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის ერთი ოთახი დათმობილი აქვს სამკერვალო სახელოსნოს, მკერავი ციალა ქათამაძე თანამედროვე მოდის ტანსაცმლის საუცხოო სპეციალისტია და მისი ნახელავით კმაყოფილნიც არიან.

...ახლა ალავერდში მუშაობს აბანო, ფოსტა-ტელეგრაფი, შენდება კულტურის სახლი, ყოველ მეორე დღეს უჩვენებენ კინოსურათს, სოფლის ორი ბიბლიოთეკის თანამშრომლები მინდვრად ემსახურებიან მშრომელებს... .

წინათ და ახლა! ბევრი რამ არის შესადარებელი და სათქმელი, წინათ შორეული წარსული როდია, 10-15 წლის ნაბიჯებს მთლიანად შეუცვლია ცხოვრების ნირი და წესი ალავერდში.

— საშუალოდ თვეში 130 მანეთი მაქვს გამომუშავება, — მეუბნება ლენინის ორდენოსანი ელენე კვანტრიშვილი, მშრომელ ოჯახში გაზრდილი ქალი. დედამისმა — კალისტინემ 25 წელი მუხლჩაუკეცავად იშრომა კოლმეურნეობაში და ახლა პენსიონერია, შვილიშვილის შვილებს ზრდის. სანაქებო შვილები დაზარდა კალისტინემ: ვახტანგი ინჟინერია, ნიკოლოზი — მევენახე, სოციალისტური შრომის გმირია, ელენე — ლენინის ორდენოსანია, რძლები, შვილიშვილები თითით საჩვენებელნი არიან. ელენეს სოფელში მეტსახელად „მამიდას“ ეძახის დიდი თუ პატარა.

— ჩემი ძმისშვილი რუბენი ახლა ჩამოვიდა ჯარიდან, როზენი, ენაცვალოს მამიდა, 9 მაისს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, წასვლის წინ კოლმეურნეობის ჰექტარნახევარი ყანა დახნა: მე მომანდეს და გაუკეთებელს არ დავტოვებო, — თქვა. ასეთი ერთგული ბიჭი მყავს, ენაცვალოს მამიდა...

აღარ მიკვირს, რომ მას „მამიდა ელენეს“ უწოდებენ უმცროსებიც და უფროსებიც. მთელი თავისი ახალგაზრდობა, ენერგია ორ საქმეს შეალია ელენემ — ძმისშვილებსა და კოლმეურნეობას. დაუფასდა ამაგი, ძმისშვილები სანაქებონი დაიზარდნენ, კოლმეურნეობას კი ელენეს შრომისმოყვარეობა ახალგაზრდობისათვის მაგალითად გაუხდია.

ექვსი შვილის დედა და ექვსი შვილიშვილის ბებია მარგალიტა კვანტრიშვილი ოც წელზე მეტია მეცხოველეობის ფერმაში მწველავად მუშაობს. მაშინ ფერმის შენობა ძველი და მოუწყობელი იყო, ნავთის ლამპების შუქზე წველიდნენ ძროხებს, წყაროს წყალს ვედროებით ეზიდებოდნენ მთელი დღე, თაგვისარას ცოცხებით ხელები ჰქონდათ დაკაწრული, ხბორებსაც მწველავები უვლიდნენ 6 თვემდე. ძნელი იყო მწველავის შრომა ასეთ პირობებში.

— ახლა ცუდი სიზმარივით დამავიწყდა ის წვალება, — ამბობს მარგალიტა, — ათიოდე წლის წინათ ფერმის ახალ შენობაში რომ გადმოვედით, თავი სამოთხეში მეგონა: აქეთ მექანიკური სარწყულებლები, იქით ელექტრონათურები, საკვების შემამზადებელი, ჩალის დამაქუცმაცებელი მანქანები, საჰაერო გზა ნაკელის გასატანად, საქონელი შესანიშნავ ზღავებზე მოთავსდა, საწუნწუხე არხებში წყალი თავისთავად მიედინება. ასეთ ფერმაში კაცს შრომა რომ დაეზაროს, ის სახლში გასაჩერებელი არც არის...

რაიონში ერთ-ერთი მოწინავე მწველავი მარგალიტა, ცამეტ ძროხას უვლის. შარშან ნაცვლად 900 ლიტრისა, საშუალოდ საფურაჟე ძროხაზე 1.750 ლიტრი რძე მიილო.

მარგალიტა კვანტრიშვილის გვერდით შრომობს ქენია კვანტრიშვილიც, მეხბორე ქალი. ფერმაში მისი მუშაობის სტაჟი უფრო დიდია — 30 წელი, თვალისჩინივით უვლის მოზარდეულს. ჯერ ერთი ხბო რა არის, ერთი ხბოს დანაკლისიც არა აქვს ქენიას.

— ცხოვრების ყველა სიძნელე შრომამ გადამატანინა, — ამბობს ქენია, რომელიც პატარა შვილით მიუტოვებია ქმარს. მან შრომაში ჩაკლა პირადი ბედნიერების დარდი.

— თვეში 300 მანეთამდე გამომუშავება მაქვს, კოლმეურნეობა ყოველთვის ეხმარებოდა მორალურად ჩემს ოჯახს და მეც არ დამიზოგავს თავი შრომაში. პირობებიც კარგი გვაქვს ახლა. შარშან ღვიძლმა გამახსენა თავი და კოლმეურნეობამ საირმეში გამგზავნა საგზურით...

კოლმეურნეობა ყოველწლიურად აგზავნის საჭიროებისამებრ კოლმეურნე ქალებს დასასვენებლად. შარშან სოციალისტური შრომის გმირებთან ერთად, მყნობელმა დაშა ბოხოჩიძემ ესენტუკში დაისვენა.

ალავერდის კოლმეურნეობაში 204 შრომისუნარიანიდან 119 ქალია. ჩვენს მხრებზე ტრიალებს კოლმეურნეობაო — ქილიკობენ ქალები. და სწორიცაა, ქალები ტოლს არ უდებენ შრომაში მამაკაცებს. საამისოდ ყველა პირობაა შექმნილი კოლმეურნეობაში. ამიტომაც მიუხარია ყველას საზოგადო საქმისაკენ, დაფასებული შრომა და უკეთესი მომავლის რწმენა აქეზებს მათ გმირული შრომისაკენ.

და სწორედ ამიტომ ყოველი დღე აქ ნათელია და სიხარულით სავსე.

**მარგო დიაკონიძე**

**ივლისი, 1978 წ.**



მეხბორე ქენია კვანტრიშვილი



სოფლის მაღაზიაში

მასწავლებელი ქეთევან ქველაძე მოსწავლეებთან





ტოსკა — „ტოსკა“.

# ცისანა ტატიშვილი

მისმა სადებიუტო სპექტაკლმა „აბესალომ და ეთერმა“ დიდი წარმატებით ჩაიარა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. მან ხომ სტუდენტობის წლებშივე ძლიერი ვოკალურ-სცენური გამომსახველობით გახსნა ეთერის საკმაოდ რთული მუსიკალური სახე. მას შემდეგ ცისანა ტატიშვილმა მაღალი პროფესიული გემოვნებით დახვეწა და გამოძერწა ურთულესი პარტიები, მათ შორის დონა ანა (მოცარტის „დონ ჟუანი“), ტოსკა (პუჩინის „ტოსკა“). ტატიშვილის ტოსკა გამოირჩევა დაძაბული დრამატიზმით და ემოციურობით.

„ტოსკა ჩემი საყვარელი გმირია, — თქვა ცისანამ. — საერთოდ პარტიის მომზადებისას ვცდილობ კარგად შევისწავლო, მთლიანად ჩავწვდე გმირის სახეს, ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება ვიპოვო მასში, შევისისხლხორცო ჩემი გმირის განცდა და გამოვხატო ხმის ტემბრის ცვალებადობით“.

ასე მუშაობდა იგი აიდას (ვერდის „აიდა“) რთული ნიუანსებით აღსავსე სახის შექმნისას. როცა ცისანა ტატიშვილმა, მოსკოვში, კავშირების სახლის დიდ დარბაზში შეასრულა სანტუცას პარტია (მასკანის „სოფლის პატიოსნება“), თავისი ხელოვნებით აღტაცებაში მოიყვანა დირიჟორი ხაიკინი. ხოლო ყოვლისმნახველი მუსიკოსი ბაბიჩი აღელვებით გვეუბნებოდა: „ძნელი სათქმელია, ამ მომღერალ ქალს რა აქვს მეტი: ხმის სილამაზე, მუსიკალობა, არტისტიზმი, ტემპერამენტი თუ ოსტატობა!“ მართლაც, მომღერალ ცისანა ტატიშვილს გააჩნია ხმის ტემბრის ამოუწურავი სიმდიდრე, ორგანული მუსიკალობა, ემოციის გადმოცემისა და გამოხატვის მკაფიო უნარი, არტისტული ტემპერამენტი და ხმის ერთგვაროვნება, ყველა რეგისტრში.

ლეონორას პარტიაზე („ვერდის „ტრუბადური“) მუშაობისას ცისანა ტატიშვილმა კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა თუ რაოდენ ზრუნავს მომღერალი ვოკალური კოლორიტის გამდიდრებაზე, გამომსახველობის ახალი ხერხების დაუფლებაზე და საოპერო ხელოვნების სიღრმისეულ პრობლემებზე.

მომღერალი ქალისათვის დაუვიწყარია გამარჯვება 1967 წელს ქალაქ ხარკოვში გამართულ ახალგაზრდა მომღერლების საოპერო ფესტივალზე, გამარჯვება „აიდასა“ და „ტოსკაში“ და იქ მიღებული საპატიო დიპლომი; ასევე დაუვიწყარია მისთვის ბერლინის კომიშე-ოპერის თეატრი, სადაც ქართველი მომღერალი ქალი მთელი სეზონით იყო მიწვეული საგასტროლოდ. იქ საპრემიერო სპექტაკლში („აიდა“) ც. ტატიშვილის პარტნიორი იყო მომღერალი ნოდარ ანდღულაძე. ამ ოპერის პრემიერის შესახებ აღფრთოვანებით წერდნენ გერმანული გაზეთები: „ცისანა ტატიშვილს აქვს ნამდვილი გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ნაკადულივით სოპრანო და შესრულების ხალასი, ძლიერი გრძნობა“.

„არაჩვეულებრივი იყო ცისანა ტატიშვილი (ქართველი მომღერალი). როდესაც მან იმღერა აიდას ცნობილი არია — „დაბრუნდი ჩვენთან გამარჯვებული“, ქარიშხალივით ამოვარდა ტაში და შეძახილები: „ბრავო“, რომელიც დიდხანს გრძელდებოდა“.

1969-1970 წლებში ცისანა კვლავ გასტროლებზეა პოლონეთში, ლოძის საოპერო თეატრში; მონაწილეობს ორ სპექტაკლში: „ტოსკაში“ და „სოფლის პატიოსნებაში“. ეს საღამო ქართველი მომღერლის ვოკალური ხელოვნების მწვერვალად იქცა. „სოფლის პატიოსნების“ წარმოდგენა „დაიწყო საკმაოდ ნერვოზული ტონით, მღელვარება მოედო ყველას. ხანდახან ორკესტრი ეცილებოდა მომღერლებს, გუნდი ზოგჯერ აყვირდებოდა.

თითქოსდა სახიფათოდ მიმართული „საჭე“ პირველმა ც. ტატიშვილმა შემოაბრუნა, იგი თავიდანვე სრული ენერგიითა და ტემპერამენტით ჩაერთო და თავისი უნიკალური ხმითა და მკვეთრი დრამატული ამპლიტუდებით ტონუსი მისცა წარმოდგენის დინებას“ (ანტონ წულუკიძე).

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო დღეებში ც. ტატიშვილი ლენინგრადში მიიწვიეს, სადაც წარმატებით იმღერა აიდას და ტოსკას პარტიები სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. 1970 წელს მან ვოლგოგრადში პირველად იმღერა ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“ და მაყურებელი აღაფრთოვანა. საფრანგეთიდან საგასტროლოდ ჩამოსულ გრანდ-ოპერის პრემიერ მაესტროსთან ერთად ც. ტატიშვილმა „აიდაში“ ისე ბრწყინვალედ იმღერა, რომ დარბაზი გერგვინავდა, ხოლო აღტაცებულმა მაესტრომ ასე მიმართა ცისანას: „ო, ძლიერ მსურს თქვენთან ერთად ვიმღერო საფრანგეთში, გრანდ-ოპერაში“.

1971 წელს საბჭოთა საქართველოს 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ც. ტატიშვილი „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოვდა. ამავე წელს, დიდი ქართველი კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად გამოდის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ სრული ჩანაწერი ფირფიტებზე, ეთერის პარტიას ც. ტატიშვილი ასრულებს.

„ტატიშვილის დიდი დიაპაზონის, ძლიერი და მოქნილი დრამატული სოპრანო მაღალ და დაბალ რეგისტრებში თავისუფლად ჟღერს, მის სახიობაში მოჩქეფს საოცარი ტემპერამენტი და ექსპრესიულობა. ამასთან, მის შესრულებას ჭეშმარიტად აქვს მხატვრული ზომიერების გრძნობა, მას მსმენელამდე ღრმად მიაქვს, დიქციითა და სწორი ინტონირებით, მუსიკალური დრამატურგიის ემოციურობა. ქართველი მომღერლის ნიჭი და ოსტატობა სრულად და მკაფიოდ იყო გახსნილი, ამან განსაკუთრებით თავი იჩინა დასკვნით კონცერტზე. ც. ტატიშვილმა, რომლის დრამატული სოპრანო ტემბრის იშვიათი სილამაზით გამოირჩევა, კონცერტზე ბრწყინვალედ იმღერა. გუშინ მეორედ იქნა წარმოდგენილი ოპერა „აბესალომ და ეთერი“. მთავარ როლებში გამოვიდნენ: ეთერი — ც. ტატიშვილი, აბესალომი — ზ. სოტკილავა. ხალხით გაჭედილმა დიდი თეატრის დარბაზმა მათ ნამდვილი ოვაცია გაუმართა. ამ მქუხარე ტაშით ყველამ ერთხმად აღნიშნა შესრულების მაღალი დონე“ (იხ. პოპოვი, გაზ. „პრავდა“, 1971 წელი). თითქმის იგივე აღნიშნა გაზეთმა „სოვეტსკაია კულტურამ“ 1971 წლის 26 ოქტომბრის ნომერში. უაღრესად ნიჭიერი მომღერალი სამშობლომ სათანადოდ დააფასა, წელს ცისანა ტატიშვილს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. სახელოვან მომღერალს, რომელმაც აღიარება ჰპოვა მთელს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც, დიდი შემოქმედებითი გზა და ნათელი მომავალი აქვს.

**მუსიკისმცოდნე იზა ნადირაძე**



სანტუცა — „სოფლის პატიოსნება“

აიდა — „აიდა“.



... მარქსის სახ. საქ. სს... ...ელმწიფო რესპუბლ... ...ბიბლიოთეკა ...

# ისინი საბჭოთა ხელისუფლებისათვის იბრძოდნენ

ანა აზმაიფარაშვილი-მირზაშვილი სოფელ მეტეხში დაიბადა, ღარიბი გლეხის ოჯახში და პირველდაწყებითი განათლებაც სოფელში მიიღო. ადრე დაობლებული გოგონას აღზრდა ძმას, ალექსი მირზაშვილს დაეკისრა. ალექსი დაახლოებული იყო არალეგალური წრის წევრებთან, იზიარებდა მათ შეხედულებებს, კითხულობდა რევოლუციურ ლიტერატურას. ანა პატარაობიდანვე თანაუგრძნობდა ძმას, 1890 წელს ანა რკინიგზის მუშაზე გათხოვდა და თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. აქ იგი თავის ქმარ, სოლომონ აზმაიფარაშვილთან ერთად ჩაება სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშაობაში. ისინი ნაძალადევში, დეპოსთან ახლოს ცხოვრობდნენ და მათი ოჯახი რევოლუციურად განწყობილი მუშების საიმედო თავშესაფრად გადაიქცა. აქვე იმართებოდა არალეგალური კრებები. 1900 წელს სოციალ-დემოკრატებმა, მიხა ბოჭორიშვილისა და გიორგი მარსაგოვის მეთაურობით, მათი სახლის სარდაფში არალეგალური სტამბა გამართეს, რომელმაც 9 თვეს იარსება.

1900 წელს გაფიცვის პერიოდში ანა აზმაიფარაშვილი ეხმარებოდა გაფიცულებს და არჩენდა გაფიცულთა მხარდასაჭერად სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულ მუშებს. ანას ხელმძღვანელობით გაფიცულთა ცოლები წინააღმდეგობას უწევდნენ შტრეიკბრეხერებს. 1900-1901 წელს სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის დავალებით ანამ, რკინიგზელთა ცოლებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საწარმოებლად, ჩამოაყალიბა ქალთა წრეები.

ამ პროპაგანდამ კარგი ნაყოფი გამოიღო. რკინიგზელთა ცოლებმა არამც თუ მხარი დაუჭირეს გაფიცვებსა და რევოლუციურ საქმიანობას, არამედ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სასარგებლოდ ოქროს სამკაულებიც კი შეაგროვეს.

ანას რევოლუციური მოღვაწეობა 1905 წლამდე გაგრძელდა. 1905 წელს ანა დაავადმყოფდა და ექიმების რჩევით, სამუდამოდ, მეტეხში გადავიდა საცხოვრებლად. ამის შემდეგ მას სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობა აღარ მიუღია.

მარიამ გოგუაძე-სხილაძე დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ მაკვანეთში. ხელმოკლე გლეხის ოჯახში. უსახსრობის გამო 15 წლის მარიამი სამუშაოს საძებნელად თბილისში ჩამოდის და სამკერვალო ფაბრიკაში იწყებს მუშაობას. თბილისში მარიამი ცოლად მიჰყვება რევოლუციონერ მუშას მაკარ გოგუაძეს. აქედან იწყება მისი რევოლუციური მოღვაწეობაც. 1904 წელს მარიამი არალეგალური მუშაობისათვის ქმართან ერთად აშხაბადში გადაასახლეს, მაგრამ ცოლ-ქმარმა მალე მოახერხა სხვისი პასპორტებით ბათუმში დაბრუნება, სადაც არალეგალურ სტამბაში განაგრძეს მუშაობა. რამდენიმე ხნის შემდეგ მარიამი მეუღლითურთ თბილისში, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში გადაიყვანეს სამუშაოდ. 1906 წელს კი ვანო სტურუას წინადადებით მარიამი და მისი ქმარი პეტერბურგის ბოლშევიკურ სტამბა „დელო"-ში გაგზავნეს, სადაც იმ ხანად უშანგი ჯაში, სონია და სილიბისტრო თოდრიები მუშაობდნენ.

1906 წლის მიწურულში ლენინის წინადადებით მარიამი და მაკარი სამუშაოდ ფინეთში, ვიბორგის არალეგალურ სტამბაში გადაიყვანეს, სადაც იბეჭდებოდა ბოლშევიკური გაზეთი „პროლეტარი", პროკლამაციები და სხვადასხვა არალეგალური ლიტერატურა. 1908 წელს მარიამი და მისი ქმარი კვლავ პეტერბურგში დაბრუნდნენ.

1909 წელს პეტერბურგში ისინი ინახულა გადასახლებიდან გამოქცეულმა ი. ბ. სტალინმა. ამის შემდეგ მარიამი და მაკარი რუსეთის სხვადასხვა ქალაქების არალეგალურ ორგანიზაციებში მოღვაწეობდნენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მარიამის ოჯახი თბილისში დასახლდა. მარიამს, როგორც 1905-1907 წლის რევოლუციის აქტიურ მონაწილეს, პერსონალური პენსია დაენიშნა.

ანა დოლიძე

# მადლობის ფასი

იმ კეთილშობილური საქმისათვის, რომელსაც ადამიანები ერთმანეთისთვის აკეთებენ, შესანიშნავი სიტყვა „მადლობა" გაგვაჩნია. მადლობა—სიკეთისათვის, მადლობა — შრომისათვის, მადლობა — ამაგისათვის.

თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანის" საბავშვო ბაღის გამგემ ქეთევან გედევანიშვილმა, რომელსაც სახლი და ხეხილის ბაღი სამსახურის გვერდით აქვს. წლეულს ეზოში მოკრეფილი ხილი კალათებით გადმოიტანა თავისი აღსაზრდელებისათვის. ასეა ყოველთვის, ყოველ წელიწადს. ქეთევანს სურს თავის ეზოს ღობე მოშალოს და ხეხილის ბაღში ბავშვები თავისუფლად გადავიდნენ, თავიანთი ხელით მოიწიონ ტოტები და მწიფობისას მიირთვან ცოცხალი ხილი.

იშვიათი აღმზრდელია და იშვიათი ადამიანი, რომელიც ისე გულწრფელად ზრუნავს ბავშვებისათვის, რომ მშობლების მადლობა ზედმეტად ეჩვენება. მისთვის ყველაზე დიდი მადლობა ბავშვების ჯანსაღი ფერი და მათი ჯანმრთელი ღიმილია.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის საბავშვო ბაღის გამგე გალინა საყვარელიძე თვითონ ამოწმებს, იმატებენ თუ არა ბავშვები წონაში და ყოველთვის კმაყოფილი რჩება. ბავშვების კუთვნილი პროდუქტები მთლიანად მათ ხმარდება და სუსტი ბავშვები დამატებით საკვებს იღებენ.

ამისათვის მხოლოდ მადლობა შეიძლება უთხრან ქალბატონ გალინას, მისთვის კი ესეც ზედმეტია.

მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც წარბშეუხრელად, გაუწითლებლად იღებენ საჩუქრებს.

ზოგ საბავშვო ბაღში არაპატიოსანი შრომით გალაღებული მშობელი აღმზრდელებისათვის ფასიან საჩუქრებს ეზიდება და თავის საქციელით თუ სიტყვით სირცხვილ-ნამუსში აგდებს სხვასაც; აღმაშფოთებელია, რომ თბილისის ზოგიერთ საბავშვო ბაღში წელსაც იყო ასეთი შემთხვევები.

...აღმზრდელებმა ბავშვებს ბევრი რამ ასწავლეს, დაანახვეს სამყარო თავიანთი თვალით, შეაყვარეს ქართული და სხვა ხალხთა ზღაპრები, აუხსნეს, რომ სიკეთე ყოველთვის ძლევს ბოროტს, რომ პატიოსნება იმარჯვებს და ამ დროს...

ბავშვს არაფერი არ გამოეპარება, მას მოუსმენია მშობლების საუბარი, რომ უნდა შეკრიბონ ფული და უყიდონ საჩუქარი აღმზრდელს. მან იცის, რომ დედ-მამა თვიდან თვემდე ხელფასით ცხოვრობს და უჭირთ გაუთვალისწინებელი ხარჯების გაღება.

ამიტომ ბავშვი კარგავს ნდობას, მას აღარ სჯერა ის, რაც ბაღში ასწავლეს, შეიძულა ზღაპრები, გულგატეხილია.

ძველი, მანკიერი, ბურჟუაზიული გადმონაშთები პარადულობის შუქში იმალება, და მას პირველ რიგში ბავშვი გრძნობს, რომლის აღზრდაზე დახარჯული წლების შრომა წყალში იყრება, რომლის სულიც პროტესტს გამოთქვამს და სამუდამოდ ავადსახსოვარი ხდება აღმზრდელი კერა.

რისთვის?

იმისთვის, რომ ადამიანებმა დაივიწყეს მადლობის ფასი, დაივიწყეს, რომ ყველაზე დიდი მადლობა მათთვის ბავშვის ღიმილია.

ლია კაკაბაძე

# ქალი და ავტომობილი



საქართველოს საავტომობილო მშენებლობის დარგში ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი ნინო ლაზარეს ასულ ჯაფარიძეს ქალთა შორის პირველს მიენიჭა.

შრომითი საქმიანობა ნინო ჯაფარიძემ 1938 წელს დაიწყო, როცა ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტი დაამთავრა და საავტომობილო ტრანსპორტის მექანიკოსის სპეციალობა მიიღო.

სამამულო ომის პერიოდში, როდესაც დიდი იყო მოთხოვნა მექანიკოსებსა და მძღოლებზე, ნინო პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა სამხედრო ნაწილებში, ამზადებდა საავტომობილო დარგში მომუშავე კადრებს — მექანიკოსებს და მძღოლებს. ომისშემდგომ წლებში იგი თბილისის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტის ლექტორთა ჯგუფს შეემატა, დაიწყო მუშაობა საკუთარი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, წარმატებით ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმი.

1960 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათმცოდნეობის (ამჟამად მანქანათა მექანიკის) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გახსნის დღიდან ნინო ამ ინსტიტუტში ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მონაწილეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების: ვ. ნ. მახალდიანის და რ. პ. დვალის ხელმძღვანელობით წარმოებულ მუშაობაში ავტომობილის ძრავაზე მთიანი პირობების გავლენის გამოსარკვევად.

როგორც ცნობილია, მაღალმთიანი რელიეფი უარყოფით გავლენას ახდენს ავტომობილის ძრავას მუშაობაზე, ამცირებს მის ეფექტურობას და ხანგრძლივობას.

ადრე ჩატარებული მეცნიერული კვლევაძიებით ძირითადად შესწავლილია ძრავას მუშაობის პროცესები, დინამიკის და ეკონომიურობის საკითხები. რაც შეეხება ძრავას მუშაობის რეჟიმს მთიან პირობებში, მისი ექსპლოატაციის დროს, მის საიმედოობას, ხანგრძლივობას და სიმაღლესა და გზასთან ურთიერთდამოკიდებულებას, ბევრი რამაა შესასწავლი. სწორედ ამ საკითხებით დაინტერესდა ნინო და სადისერტაციო თემადაც გაიხადა. საბჭოთა კავშირში ასეთი ხასიათის კვლევითი სამუშაო თითქმის არ ჩატარებულა, ამიტომ ნინო ჯაფარიძეს და მის უშუალო ხელმძღვანელს ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ა. მუჩაიძეს კვლევითი მუშაობის დროს რთული და ძნელი საძიებო გზის გავლა მოუხდათ.

განსაკუთრებით ძნელი იყო შესასრულებლად სამუშაოთა ექსპერიმენტული ნაწილი, რადგანაც მანქანის ხანგრძლივი გამოცდა ტარდებოდა რთულ გზებზე, მთიან და მაღალმთიან პირობებში, თანამედროვე საზომი აპარატურით, რომელსაც მუდმივი დაძაბული მეთვალყურეობა სჭირდებოდა. ამიტომაც, გასაგებია ქალთა სიმცირე ამ რთულ სპეციალობაში. ნინო ჯაფარიძე მოხსენებით გამოვიდა საკავშირო და რესპუბლიკურ კონფერენციებზე და სიმპოზიუმებზე მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისში, დუშამბეში, ბათუმში. მისი ნაშრომები გამოქვეყნდა სპეციალურ კრებულებში, ერთ-ერთი სტატია გერმანულ ჟურნალში დაიბეჭდა.

მანქანათა მექანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ნინო ჯაფარიძე წარმატებით აგრძელებს კვლევით სამუშაოებს საავტომობილო ტრანსპორტის დარგში.

მ. კოჭორაშვილი



# სოფლის ინტელიგენტი

გორის სამაზრო რევოლუციური საბჭოს ბრძანებით 1921 სასწავლო წელს სოფელ ძევერაში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა გაიხსნა, მეცადინეობა მიმდინარეობდა ამავე სოფლის მცხოვრების — ლადო ჯავახიშვილის ყოფილ სახლში. სასკოლო მერხების ნაცვლად სოფლის დურგლის — შიო მარიამიძის მიერ გაკეთებული კუსტარული გრძელი მაგიდები და გრძელი სკამები დავდგით. ოთახის კედლებზე ჩამოვკიდეთ ნავთის მბჟუტავი ლამფები (განათების სხვა საშუალება მაშინ არ არსებობდა). დავიწყეთ მასწავლებლის ძებნა, არჩევანი დარეჯან ჯავახიშვილზე შეჩერდა. მან პირველმა შეასწავლა ანბანი ამ სოფლის მცხოვრებთ — დიდსა, თუ პატარას. მაგრამ, მასწავლებლობით როდი შემოიფარგლა დარეჯანის მუშაობა: იგი გვერდში ედგა სოფლის ახალგაზრდობას, მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა დასის შექმნაში, იყო ამ დასის სუფლიორი.

დარეჯან ჯავახიშვილი განათლებული ოჯახის შვილი იყო. მისი მამა დავითი, ცხინვალის სასამართლოს საქმეთა მმართველი, ცნობილი იყო, როგორც მაშინდელი უკულმართი ცხოვრების წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი. იგი პიესებსაც წერდა, მისი დრამა „სამი მსხვერპლი" ფეოდალური გადმონაშთების წინააღმდეგ იყო მიმართული. დავითმა ცხინვალში საკუთარი სახსრებით ააშენა თეატრი. ამ თეატრში მისი პიესაც დაიდგა, სპექტაკლში თვითონაც მონაწილეობდა. იგი გაზეთის დაარსებასაც ფიქრობდა, გუბერნატორისაგან გამოცემის ნებართვაც კი მიიღო, მაგრამ, როცა ხელისუფალნი გაზეთის შინაარსობრივ მხარეს გაეცნენ ნებართვა დაუყოვნებლივ გააუქმეს.

ოჯახურმა გარემომ განაპირობა დარეჯანის ჩამოყალიბება უაღრესად ინტელექტუალურ პიროვნებად. იგი ჯერ გორის ქალთა გიმნაზიაში სწავლობდა, მერე თბილისის ჰუმანიტარული ტექნიკუმი დაამთავრა. შემდეგ კი, საქართველოში ახალი ცხოვრების დამკვიდრების გარიჟრაჟზე, დიდ კულტურულ ძალად მოევლინა გორის რაიონის სოფლებს.

ერთი წელი იმოღვაწა დარეჯანმა ძევერის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში, შემდეგ ტყვიავის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად გადაიყვანეს. აქ გაიცნო მან ღრმად განათლებული პედაგოგი, ტყვიავის დაწყებითი სკოლის გამგე მარიამ ტატიშვილი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მის, როგორც პედაგოგის, ჩამოყალიბებაზე.

1928 წელს სოფელ ტყვიავის დაწყებითი სკოლა სანიმუშო სკოლად გადაკეთდა, დარეჯან ჯავახიშვილი ამ სკოლის გამგე-მასწავლებლად დაინიშნა. იგი ყმაწვილებს რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, ხელმძღვანელობდა მახლობელი სოფლების სკოლების რუსული ენის მასწავლებელთა მეთოდურ დახელოვნებას.

დარეჯანი აქტიურად მონაწილეობდა მთელი რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სასოფლო საბჭოსთან არსებულ ქალთა წრეს, იყო ადგილობრივი სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის წევრი, სოფსაბჭოს დეპუტატი, თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში.

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის დარეჯან ჯავახიშვილი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

მოხუცებულობის მიუხედავად, დარეჯანი დღესაც ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა.

ბ. ჯოლბორდი



რედაქციაში მოვიდა წერილი

# ჯარისკაცის ბარათი

**ჯარისკაცი:** — „ჩვენ ერთმანეთი 1969 წელს გავიცანით, მერე ყოველ დღე ვხვდებოდით, ხელჩაკიდებული მივყვებოდით ქუჩებს და მინდოდა ეს გზა არასოდეს დასრულებულიყო. მინდოდა ასე მევლო მასთან ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. ყოველ ახალ შეხვედრას ახალი სიხარული და ბედნიერება მოჰქონდა ჩემთვის. ცხოვრების თანამგზავრის პოვნამ უფრო შინაარსიანი გახადა ჩემი ცხოვრება. თითქოს უფრო გავიზარდე, გავმდიდრდი და ავმაღლდი. სიხარულში გავიდა წლები. მე უკვე მეხუთე კურსზე ვიყავი, ის კი სახელმწიფო გამოცდებისათვის ემზადებოდა, საათებს ვითვლიდით, როდის დადგებოდა ის ბედნიერი დღე, როცა ჩვენს დიდ სიყვარულს ქორწინებით დავაგვირგვინებდით, და ერთ დღეს ფოსტალიონმა უწყება მოიტანა: სავალდებულო სამსახურში მიწვევდა სამშობლო. მიჭირდა, საოცრად მიჭირდა საყვარელ ადამიანთან განშორება, არ მინდოდა მისთვის თუნდ ოდნავი გულის ტკივილი მიმეყენებია. შეწუხებული, ბეჭებში მოხრილი მივედი მასთან.

როცა მან სასოწარკვეთილი მნახა, ნამდვილი ქართველი ქალიშვილის წინდახედულება გამოიჩინა, მისაყვედურა:

— ასე რამ წაგახდინა ვაჟკაცი. ახლა უფრო მეტად მეყვარები, ნამდვილმა სიყვარულმა ხომ არ იცის შიში მანძილისა და სიშორისათ.

მე იმ წუთში უძლიერესი და უბედნიერესი ადამიანი ვიყავი, რადგან საყვარელი ქალი ერთგულებისა და სამუდამო სიყვარულის ფიცს მაძლევდა. განა ასეთი ფიცით არ აცილებდნენ ომში მიმავალ ჭაბუკებს თავიანთი საცოლეები? და ისინი კიდევაც რჩებოდნენ ფიცის აღმსრულებლები. ჯარისკაცები კი ამ სიყვარულის პასუხად გმირობას ჩადიოდნენ ბრძოლის ველზე.

სიყვარულის საწინდრად ჩემს საოცნებო

ქალიშვილს ოქროს ბეჭედი მივართვი და გზას გავუდექი. გული? გული თბილისში დამრჩა. განშორების დღიდან მისი ცრემლიანი თვალები წუთით არ მტოვებდა და საცა მივდიოდი თან მიმყვებოდა, წერილს წერილზე ვგზავნიდი, ისიც ბარათებით მამხნევებდა:“

**ქალიშვილი:** — „რომ იძახდი მივდივარო, ამაზე მაშინ არ დავფიქრებულვარ. არც იმ დღეს დავიჯერე, როცა წახვედი, რომ ნამდვილად მიდიოდი, მაგრამ მეორე დღეს ვიგრძენი, რომ შენ ჩემთან არ იყავი და თითქოს რაღაცა ამომგლიჯესო გულიდან...“

**ქალიშვილი:** — „...სულ ვფიქრობ და ვნერვიულობ, ეს რა საშინელი ყოფილა განშორება. ასე რომ მცოდნებოდა, ალბათ მეც თან წაგყვებოდი, სულო! ახლა მხოლოდ შენი სურათები დამრჩა ნუგეშად...“

**ქალიშვილი:** — „...როგორ მინდა ახლა შენ ჩემს გვერდით იყო. ვერ წარმოიდგენ თუ როგორ მიყვარხარ. ერთი წუთითაც, რომ წარმოეიდგინო რაიმე შეიცვლება, ალბათ გავგიჟდები...

**ქალიშვილი:** — „...შენმა წერილმა ძალიან გამახარა. ნეტავ რა შემთხვევაში მიმატოვებდი? იცი, ეს აზრი რატომ მომივიდა? სხვებსაც ხომ უყვართ ერთმანეთი, რატომ შორდებიან? სიყვარული ხომ მხოლოდ და მხოლოდ ერთია?...“

**ჯარისკაცი:** — „არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ ბარათმა საოცრად ამაღელვა. თითქოს გულმა მიგრძნო მოახლოებული უბედურება — რაში დასჭირდა ასეთი შეკითხვის მოცემა? ასჯერ ვეკითხებოდი ჩემს თავს და პასუხს ვერ ვპოულობდი, თეთრად ვათენებდი ღამეებს მანამ, სანამ მისგან ისევ სიყვარულით ალსავსე ბარათი არ მივიღე. მერე ნელ-ნელა იკლო ბარათებმა და უცბად შეწყდა. თავგზა ამებნა, დეპეშა გავუგზავნე. პასუხი არ იყო. მჯეროდა მის თავზე რაღაც უბედურება მოხდა, აქეთ-იქით ვაწყდებოდი, არ ვიცოდი რა გზას დავდგომოდი, გავხდი, აჩრდილს დავემსგავსე, მეგობრებმა მირჩიეს ტელეფონით დავკავშირებოდი, ესეც უშედეგო აღმოჩნდა და ბოლოს როგორც იყო, მოვიდა ბარათი...“

**ქალიშვილი:** „...როდემდის მოვიტყუო თავი და შენც როდემდის გატყუილო. ვთხოვდები, შენს პასუხს არ ველოდები. ვიცი დიდი ტკივილი მოგაყენე. თუ პატიება შეგიძლია, მაპატიე...“

**ჯარისკაცი:** — „რამდენჯერმე გადავიკითხე ბარათი, თვალებს არ დავუჯერე. გონება ვერ დავიმორჩილე. ნუთუ ერთი წელი განშორება საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ყველაფერი დამთავრებულიყო? გაცრუებულმა სიყვარულმა ერთი თვე სარეცელს მიმაჯაჭვა, სასწორზე იდო ჩემი ყოფნა არ ყოფნის საკითხი.

ძვირფასო რედაქციავ, მე ამ წერილით არ მინდა ვინმეზე შური ვიძიო. ეს მარტო ჩემი გულის ტკივილი როდია, აქ ყოფნის პერიოდში ვნახე რამდენიმე ჩემს დღეში მყოფი ჯარისკაცი. მე ყველა ჯარისკაცის სახელით მივმართავ ქართველ ქალიშვილებს, ნუ გასტეხავენ ფიცს, ნუ მიაყენებენ ჯარისკაცებს გულის ტკივილს. ჩვენ ჯერ სულ ახალგაზრდები ვართ და ხომ შეიძლება ამ ღალატმა ყველა ქალიშვილისადმი სამუდამოდ შეგვილახოს რწმენა. მაშინ რა უნდა იყოს ჩვენი სიცოცხლე?

**პატივისცემით ჯარისკაცი პ. დ.**

# ღია ბარათი ჯარისკაცს

ძვირფასო ჯარისკაცო! ჯერ თქვენ სრულიად ახალგაზრდა ხართ. წინ კიდევ მრავალი სიხარული და ბედნიერება გიძევთ. ჭაბუკი ხართ და არ შეგშვენით რწმენის დაკარგვა: არ შეიძლება ორიოდე შემთხვევის განზოგადება. ჭეშმარიტ სიყვარულს არასოდეს ღალატობენ ქალიშვილები. განა ქართველ ქალთა ერთგულებისა და თავდადების ცოტა მაგალითი გვაქვს? უამრავი მაგალითების მოყვანა შეიძლება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ორი ქალის შესახებ გვინდა გიამბოთ, თქვენც, თქვენს მეგობრებსაც და იმ ქალიშვილსაც, ვისი გატაცებაც ნამდვილ გრძნობად მიგაჩნიათ.

დარეჯან ქავჟარაძემ და მისმა მეუღლემ ენუქი ბაკურიამ სულ რამდენიმე დღე გაატარეს ერთ ჭერქვეშ, დაიწყო ომი, სამშობლოს დასაცავად მიმავალმა ვაჟკაცმა მეუღლეს თხოვა: ,

„— დარეჯან, დედაჩემი სულ მარტოა, გთხოვ, დედა ხანდახან წერილებით ანუგეშო“.

დარეჯანი მაშინ დარდით ისე იყო გაოგნებული, ქმრისათვის არც ჰო უთქვამს და არც არა! მაგრამ მეორე დღეს სწრაფად ჩაალაგა ბარგი და მშობლებს გამოუცხადა: სოფელში, ენუქის დედასთან გადავდივარ საცხოვრებლადო.

გაიხარა მარტოდ დარჩენილმა დადარდიანებულმა მელანიამ, მას ხომ ყველაფერი მზად ჰქონდა ენუქის საქორწინოდ. რა ვუყოთ, თუ ენუქი ვერ ჩამოვიდა, ლამაზი პატარძალი ხომ უნდა გაეცნო მეზობლებისათვის.

— ჩემი დარეჯანი ალბათ ხვალ ან ზეგ თბილისში წავა. აბა, ქალაქში გაზრდილ ქალს სოფელში რა გააჩერებს, ნანა, — ეუბნებოდა მეზობლებს და ვახშამზე ეპატიჟებოდა. არ გამართლდა მელანიას გუმანი, დარეჯანი მხარში ამოუდგა დედამთილს თითქოს სიზმრად ნანახი ქმრის სანაცვლოდ, თავს ევლებოდა მისი საყვარელი ენუქის დედას. ცოტა ხნის შემდეგ დარეჯანი გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის საშუალო სკოლის დირექტორად დანიშნეს. თავდადებული შრომითა და პატიოსნებით თანამოქალაქეების პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ყოველ საქმეში ქმრის სიყვარული უნათებდა გზას, მაშინაც, როცა მისი დაღუპვის ცნობა მოვიდა. ღამით ბალიშს ცრემლით ასველებდა, დღისით კი შრომაში ჰპოვებდა ხსნას. ქმრის კერა რომ არ გაეცივებინა, ობოლი გოგონა იშვილა და თავის აღსაზრდელებთან ერთად ნამდვილ დედობას უწევდა. ბევრ ახალგაზრდას დაულოცა გზა, მათ შორის ბევრმა ისახელა თავი და დარეჯანიც ასახელა. დაუღალავ შრომაში და გარჯაში გავიდა წლები. კარგა ხანია გაჭაღარავდა დარეჯანი, მაგრამ იგი ბედნიერ ქალად თვლის თავს, რადგან ენუქის კერაზე ცეცხლი ისევ გიზგიზებს, ხუთი შვილიშვილი ხმიანობს მის ეზოში.

...ქეთევანმა და ელდარმა სიყვარული შეფიცეს ერთმანეთს, ელდარმა ერთი წლით ადრე დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და რუსეთში გაგზავნეს სამუშაოდ. ქეთევანს მაშინ საშუალება არ ჰქონდა თან გაყოლოდა საქმროს. და ისევ ომი! ელდარი საველე ჰოსპიტალს გაჰყვა.

გრძელი იყო გზა ომისა და ამ გზაზე მძიმედ დაჭრილ ელდარს ჭეშმარიტი ამაგი და მეგობრობა სხვა ქალმა გაუწია. შემდეგ ის ქალი ელდარის მეუღლე გახდა... როცა ქეთევანმა ეს ამბავი გაიგო, კუნთიც არ შერხეულა მის სახეზე. გაქვავებულს ესლა წამოსცდა თურმე: „მე მაინც კმაყოფილი ვარ, რომ ელდარი ცოცხალია და სადღაც სუნთქავს, რა მნიშვნელობა აქვს იგი ჩემთან იქნება თუ სხვასთანო“. იმ დღიდან ქალიშვილის გულს სხვისადმი სიყვარული არ გაჰკარებია, ჩაიკეტა სხვა მამაკაცისათვის მისი გულის კარები. მთელი სიყვარული ძმისწულებსა და დისწულებზე გადაიტანა, ყველას გზა გაუკაფა, ყველა გზაზე დააყენა. ამ კეთილშობილ ქალს ახლობლებმა გაჭირვების ტალკვესი შეარქვეს. მართლაცდა, ის ყველას ლხინისა და ჭირის მოზიარე იყო, მაგრამ ცხოვრებაში ყველას თავისი გზა აქვს და ხანდაზმულობის ჟამს ქეთევანი მაინც ცალად დარჩა. ელდარი კი შვილიშვილებით აივსო, და როცა მეგობრები და ახლობლები საყვედურობენ ქეთევანს, პირადი ცხოვრება პირველ სიყვარულს რად ანაცვალეო, იგი სევდიანი ღიმილით ერთსა და იმავეს ამბობს:

— მე მაინც მისი ბედნიერებით ვარო ბედნიერი. რატომ უნდა გამეუბედურებინა სხვა? მე ხომ ელდარის გარდა სხვა სიყვარულისთვის არ ვიყავი გაჩენილი?

ჩვენო ჯარისკაცო! მართალია იგი თუ მტყუანი? ამას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. თქვენ ამ მაგალითის განზოგადების სრული უფლება გაქვთ, რადგან ყველას იმდენი ერთგული საცოლეები და მეუღლეები გელოდებათ აქ, შინ, რომ მათზე საწერად არც ქაღალდი იკმარებდა და არც მელანი! განა ასე არ არის, ჭაბუკებო და ქალიშვილებო? მაშ, სიტყვა თქვენზეა.

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## რა უნდა ვიცოდეთ სოკოვანი დაავადებების შესახებ

მიკოზები ანუ სოკოვანი დაავადებანი კანის გადამდები სნეულებაა და ძლიერ გავრცელებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მათ იწვევს სხვადასხვა სახის სოკოპარაზიტები, რომლებიც კანსა და ფრჩხილებს აზიანებს.

ინფექციის გავრცელების წყაროდ სოკოთი დაავადებულნი ან ამ სოკოების მატარებლები ითვლებიან, ისინი ინფექციას უშუალო შეხებით ან მათ მიერ დაინფიცირებული საგნებით ავრცელებენ.

ტერფების მიკოზებით ინფიცირება ძირითადად აბანოებში, საშხაპეებში, საცურაო აუზებში, სპორტულ დარბაზებში, პლაჟზე და სხვა ადგილებში ხდება, ინფექცია ასევე ადვილად ვრცელდება საერთო საწოლით, აბაზანით, ტაშტით, ლიფით, წინდებით, ფეხსაცმლით, მაკრატლით და საერთო სარგებლობის სხვა საგნებით. ეს ინფექცია ადვილად გადადის მანიკურისა და პედიკურის დაინფიცირებულ ხელსაწყოებით.

ტერფების მიკოზებით დაავადებას აგრეთვე ხელს უწყობს ქვედა კიდურებში სისხლის მიმოქცევის მოშლა, ჭარბი ოფლიანობა, ბრტყელტერფიანობა, თითების დეფორმაცია, ვიწრო ან მეტად თავისუფალი ფეხსაცმლის ტარება (რომელიც მიკროტრამვას იწვევს, რაც კიდევ უფრო აადვილებს კანში სოკოების შეჭრას) და ტერფების უსუფთაობა.

ტერფების მიკოზები ძირითადად ქრონიკულად მიმდინარეობს, მაგრამ გაზაფხულსა და ზაფხულში დაავადება მწვავდება. დაავადებას ჩვეულებრივ თითებს შორის და ფეხის გულებზე აქერცვლა ან წვრილი ბუშტუკოვანი გამონაყარი ახასიათებს. ხშირად ფეხის თითებს შორის კანი სკდება და გამონაყელი ჩნდება, ან კიდევ ფეხის გულებზე კანი სქელდება. ზოგჯერ ამ დაავადებას ქავილი ახასიათებს, რის გამოც ავადმყოფს დაკაწრული კანიდან მეორადი ჩირქოვანი ინფექცია ეჭრება, პროცესი მწვავდება — კანი წითლდება, შეშუპდება, წყლულდება, ფრჩხილები მორუხო-მოყვითალო ფერის ხდება და ზოგჯერ სქელდება.

ბოლო ათეულ წლებში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში და ჩვენშიც საგრძნობლად გავრცელდა სოკო-პარაზიტი — წითელი ტრიქოფიტონი, რომელმაც თითქმის განდევნა ტერფების მიკოზების სხვა გამომწვევები. აღნიშნული სოკო-პარაზიტით გამოწვეული მიკოზი ადვილად ვრცელდება და იწვევს კანის დაზიანებას არა მარტო ტერფებზე, არამედ მთელ ტანზე (განსაკუთრებით საზარდულებსა და იღლიის ნაოჭებში), კიდურებზე და სახეზე. ფრჩხილები ხელებზეც ზიანდება, არც თუ იშვიათად ეს პროცესი მწვავდება, ავადმყოფს ქავილი და ალერგიული გამონაყარი უჩნდება.

მიკოზური პროცესის გამწვავებას და ალერგიის განვითარებას ხელს უწყობს შეუფერებელი პრეპარატების გამოყენებაც. ამიტომ თვითმკურნალობა დაუშვებელია, მკურნალობა ავადმყოფს სათანადო სამედიცინო გამოკვლევის შედეგად უნდა დაენიშნოს. კანზე და ფრჩხილებზე რაიმე ცვლილების შემჩნევისთანავე დერმატოლოგს უნდა მიმართოთ, რათა ადრე განიკურნოთ და თავიდან აიცილოთ დაავადების შემდგომი გავრცელება და მოსალოდნელი გართულებანი.

ტერფების სოკოვან დაავადებათა პროფილაქტიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხების ჰიგიენას, ფეხები ყოველდღე უნდა დაიბანოთ, კარგია დღეში 2-3-ჯერ გრილი აბაზანების მიღება 5-10 წუთის განმავლობაში საპნის ქაფიანი, სუფრის მარილიანი ან საჭმლის სოდიანი წყლით, აბაზანა გარდა იმისა, რომ კანს ასუფთავებს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. დაბანის შემდეგ აუცილებელია ფეხის თითებს შორის კანის კარგად გამშრალება და შემდეგ მსუბუქი მასაჟით კრემების — „სპორტის", „პლასტიკის" ან „ტურისტის", კანის სიმშრალის შემთხვევაში კი მკვებავი კრემის შეზელვა და სხვა. კარგია აგრეთვე ქვედა კიდურების ვარჯიში. კანის ჰიგიენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჭარბოფლიანობის დროს, რადგანაც კანზე დაგროვილი ოფლი იხრწნება, წარმოიშობა ცუდი სუნის ცხიმოვანი მჟავები, რომლებიც კანს აზიანებს, განსაკუთრებით თითებს შორის. კაპრონისა და ნეილონის წინდები საგრძნობლად აფერხებს ჰაერის გამტარობას და ხელს უწყობს ოფლიანობას, ამიტომ ჭარბოფლიანობის შემთხვევაში ბამბის წინდები უნდა იხმაროთ. აუცილებელია წინდების ყოველდღე ცვლა. ოფლის გამოყოფას კარგად აწესრიგებს მზისა და ზღვის აბაზანები.

ჭარბოფლიანობისას ფეხების დაბანის შემდეგ კარგია კანის გასუფთავება რეზორცინის, სილიცილმჟავას, ან ბორის სიმჟავის, 1-2-პროცენტიანი სპირტიანი ხსნარით, ლიმონის წვენით ან „ფინიშით", ასევე კარგად მოქმედებს კანის ოდეკოლონით გასუფთავება და ოფლის საწინააღმდეგო პუდრის მოყრა. ფხვნილი შეიძლება წინდებში და ფეხსაცმელებში ჩაიყაროთ.

საერთო ოფლიანობისას საჭიროა დიდ ნაოჭებში (საზარდულში და იღლიაში) კანის გასუფთავება ზემოაღნიშნული ხსნარებით. ამ მიზნით შეიძლება ბორის სიმჟავის ფხვნილის გამოყენებაც. ასევე მნიშვნელოვანია ფრჩხილების მოვლა, ფრჩხილები სწორხაზოვნად უნდა მოიჭრათ, მაგრამ გვერდებზე ოდნავ მომრგვალოთ, რითაც თავიდან აიცილებთ ფრჩხილების უსწორო ზრდას ან კანში ჩაზრდას, რაც ერთი მხრივ მეტად მტკივნეული და შემაწუხებელია, მეორე მხრივ კი, ასეთ ფრჩხილს სოკოპარაზიტიც ადვილად აზიანებს.

თუ მხედველობაში მივიღებთ სოკოვან დაავადებათა ფართო გავრცელებას და მისი ადვილად გადადების გზებს, ნათელი გახდება მათი თავიდან აცილების ანუ პროფილაქტიკის დიდი მნიშვნელობა.

**ლუბა შეწირული,**

**კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი.**

### ჩვენი მწვანე აფთიაქი

## ლემა

ლემა ერთწლიანი ბალახია, იგი ძაღლყურძენისებრთა ოჯახს ეკუთვნის. ლემას დაკბილული ფოთლები და ხუთკბილიანი თეთრი გვირგვინი აქვს. მისი, კვერცხისებური ნაყოფი ეკლებით არის მოფენილი. ლემა მთელს ჩვენს რესპუბლიკაშია გავრცელებული. ხარობს მთის ქვემო სარტყელში, გზებისა და ბილიკების გასწვრივ.

ლემა შხამიანია, ახასიათებს მძაფრი მათრობელა სუნი, ამიტომ უნდა ვერიდოთ მის მასივში დიდხანს ყოფნას, ლემას შეხების შემდეგ აუცილებელია ხელები საპნით დავიბანოთ, რომ მისი შხამი თვალებსა და პირში არ მოგვხვდეს. ჩვენში ლემას ფოთლებს აშრობენ და მისგან პაპიროსს ამზადებენ, რომელსაც ხველების, ბრონქიალური ასთმის, კბილის ტკივილის დროს ეწევიან, როგორც დამაყუჩებელ საშუალებას.

მეცნიერულ მედიცინაში ლემას ფოთლებსა და თესლს ასევე ტკივილების დამაყუჩებლად ხმარობენ სასუნთქი გზების სპაზმების, უმთავრესად კი ბრონქიალური ასთმის დროს, ზოგ შემთხვევაში ლემას დასალევადაც უნიშნავენ. ლემას პრეპარატები მხოლოდ ექიმის დანიშნულებით მიიღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფუტკარა

ფუტკარა მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა და შავწამალასებრთა ოჯახს ეკუთვნის. ფუტკარა იზრდება დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლისა, კენწეროზე ივითარებს ყვავილედს. მისი ყვავილები სათითის მსგავსია, ნაყოფი კი კვერცხისებური ფორმისაა. ფუტკარას ნაყოფი უამრავ თესლს შეიცავს.

საქართველოში ფუტკარა გავრცელებულია უმეტესად მთიულეთში, ქართლის, გარეკახეთისა და ჯავახეთის მთებში, ტყეებსა და ბუჩქნარებში.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ფუტკარას ფოთლებს ძველთაგანვე იყენებდნენ ჭრილობების შესახორცებლად, ხოლო მეცნიერულ მედიცინაში მას შემდეგ დაიწყეს ამ მცენარის გამოყენება, როდესაც საქართველოს ფარმაკო-ქიმიურმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მისგან პრეპარატი „დიგალენ ნეო“ დაამზადა. ფუტკარას პრეპარატები გამოყენებულია გულის, სისხლძარღვთა და ღვიძლის დაავადებების, მაღალი ვენური წნევის, დაბალი არტერიული წნევის და კიდურების შესიების სამკურნალოდ.

ფუტკარას პრეპარატები მხოლოდ ექიმის დანიშნულებით გამოიყენება.

# ლენცოფა

ლენცოფა ერთი ან ორწლიანი ბალახია, ეკუთვნის ძაღლყურძენასებრთა ოჯახს. აქვს ბუსუსებიანი ღერო, ფრთისებრ დანაკვთული ფოთლები, ყვავილობს მაისიდან ივლისის ბოლომდე, აქვს მკრთალი ყვითელი ყვავილები. ლენცოფას მომწიფებული ნაყოფიდან უამრავი შავი თესლი ცვივა.

საქართველოში ლენცოფას უხსოვარი დროიდან იცნობენ, როგორც შხამიან სამკურნალო მცენარეს. კარაბადინებში ლენცოფა ბასრულ-ბანჯის სახელითაა მოხსენებული. ხალხური მედიცინა ლენცოფას ცოფის, ავი ზნის, კრუნჩხვების და სხვადასხვა ტკივილების საწინააღმდეგოდ ხმარობდა.

მეცნიერულ მედიცინაში ლენცოფას იყენებენ როგორც ანტისპაზმურ საშუალებას. რევმატული ანთების დროს ლენცოფას გარედან შესაზელად ხმარობენ. ლენცოფა ტკივილდამაყუჩებელია და გამოიყენება თავის ტკივილის, ქრონიკული ბრონქიტის, ბრონქიალური ასთმის, კუჭ-ნაწლავისა და შარდის ბუშტის სპაზმებისა და მტკივნეული მენსტრუაციის დროს. ლენცოფას პრეპარატები შხამიანია, ამიტომ მისი მიღება მხოლოდ ექიმის დანიშნულებით შეიძლება.

ზ. შენგელია,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# რჩევა დიასახლისებს

## მწვანილიანი ისპანახი

გადარჩეულ, გარეცხილ ექვსას გრამ ისპანახს დაუმატეთ სამასი გრამი მწვანე ხახვი, ორასი გრამი ნიახური, ასი გრამი ქინძი და მოხარშეთ. გადაიტანეთ თუშფალანგზე, შეაგრილეთ, გაწურეთ ხელით და დაჭერით. შემდეგ დაუმატეთ ორი-სამი სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი და მოშუშეთ. შუშვის დროს ჩაუმატეთ ძალიან წვრილად დაჭრილი ასი გრამი პრასი და უყავით მარილი.

მზა კერძი შეაგრილეთ, შეაზავეთ ბროწეულის წვენით, მოათავსეთ შესაფერ ჯამზე, შეუსწორეთ ზედაპირი, მორთეთ რკალისებურად დაჭრილი ხახვითა და ბროწეულის მარცვლებით.

## მაწვნიანი პრასი

გადარჩეული, გარეცხილი ერთი კილოგრამი პრასი მოხარშეთ, გაწურეთ და დაჭერით. გადაიტანეთ ღრმა ტაფაზე, დაუმატეთ ორი სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი, კარგად მოშუშეთ. უყავით მარილი.

სამი ცალი კვერცხი მაგრად მოხარშეთ, შეაგრილეთ და დაკეპეთ. ერთნახევარი-ორი ჩაის ჭიქა მაწონი გაწურეთ და შემდეგ გათქვიფეთ (ან შეიძლება ერთი ჩაის ჭიქა გაუწურავი მაწონიც იხმაროთ).

მოშუშული პრასი მოათავსეთ ლანგარზე, შეუსწორეთ ზედაპირი, მოაყარეთ დაკეპილი კვერცხი, ცოტა მარილი, დაასხით გამზადებული მაწონი და მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კამა.

## ნიახურ-ნიგვზიანი პრასი

გადარჩეული, გარეცხილი ხუთასი გრამი პრასი მოათავსეთ მდუღარე წყლიან (ორნახევარი ჩაის ჭიქა) ქვაბში და ხარშეთ ოცი წუთი. შემდეგ ჩაუმატეთ გასუფთავებული, გარეცხილი სამასი გრამი ნიახურის ძირხვენა გაფოთლილი ღეროებით და ხარშეთ ათიათხუთმეტი წუთი. მოხარშული პრასი და ნიახური გადაიტანეთ თუშფალანგში, შეაგრილეთ, ხელით გაწურეთ და დაჭერით.

ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი, სამი ძირი ქინძი, წიწაკა და მარილი დანაყეთ და გახსენით ღვინის ძმარში ან ბროწეულის წვენში, მიღებული მასალა აურიეთ ნიახურიან პრასში, მოათავსეთ შესაფერ ჯამზე და ზემოდან მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები.

## ჭ ა რ ხ ა ლ ი

ხუთასი გრამი გადარჩეული და გარეცხილი ჭარხლის ფოთოლი, ორასი გრამი ქინძი, სამასი გრამი ოხრახუში მოხარშეთ ცალ-ცალკე. გადაიტანეთ თუშფალანგში, შეაგრილეთ, გაწურეთ ხელით, შეგიძლიათ დაჭრათ; შეაზავეთ წვრილად დაჭრილი ასი გრამი მწვანე ხახვით, მარილთან ერთად დანაყილი სამი კბილი ნივრით და უყავით გემოვნების მიხედვით ღვინის ძმარი ან ბროწეულის წვენი და წიწაკა.

## ჭარხალი მაწვნით

გასუფთავებული, გარეცხილი შვიდასი გრამი ჭარხალი მოხარშეთ ან შეწვით, მოაცილეთ კანი და დაჭერით წვრილად.

ორასი გრამი მწვანე ხახვი ძალიან წმინდად დაჭერით, დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი და კარგად მოშუშეთ. ჩაუმატეთ წინასწარ გამზადებული დაჭრილი ჭარხალი, ერთი სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი და განაგრძეთ შუშვა. შუშვის დასასრულს შეურიეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი (ქინძი, ოხრახუში, კამა.) და უყავით მარილი. მზა კერძს სუფრაზე მიტანისას მოასხით ნახევარი — ერთი ჩაის ჭიქა მაწონი.

## მოხარშული კარტოფილი პრასით

ერთი კილოგრამი კარტოფილი გათალეთ, გარეცხეთ, მსხვილად დაჭერით, მოაყარეთ მარილი, მოათავსეთ ქვაბში, დაუმატეთ წვრილად დაკეპილი სამასი გრამი პრასი, ორი-სამი სუფრის კოვზი ცხიმი, დაასხით ცოტა ცხელი წყალი და მოხარშეთ. მოხარშულ კარტოფილს დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუშის ფოთოლი, აურიეთ და გადაიტანეთ შესაფერ ჯამზე. ზემოდან მოაყარეთ დაფხვნილი ასი-ასორმოცდაათი გრამი ყველი (ბრინზა, იმერული, სულგუნი), წვრილად დაჭრილი პიტნა ან ქონდარი და დანაყილი წიწაკა.

## უხორცო ხარშო

წვრილად დაჭრილი სამასი-ხუთასი გრამი ხახვი მოშუშეთ ოცდაათი-ორმოცდაათ გრამ კარაქში ან მარგარინში. დაასხით შვიდი ჩაის ჭიქა წყალი და აადუღეთ. ჩაუმატეთ გადარჩეული, გარეცხილი ნახევარი ან სამი მეოთხედი ჩაის ჭიქა ბრინჯი ან ვერმიშელი. ბრინჯი რომ მოიხარშება წვენს დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ქინძი, ოხრახუშის ფოთოლი, დანაყილი ნიორი, წიწაკა და მარილი. ჩაუმატეთ აგრეთვე ნახევარი ჩაის კოვზი დანაყილი ქინძის თესლი, ერთი ჩაის კოვზი ხმელი სუნელი, ერთი ჩაის კოვზი დანაყილი ზაფრანა. შემდეგ დაუმატეთ მოხარშული და საცერში გატარებული ტყემალი ან პამიდორი ანდა დამბალი და საცერში გატარებული ტყემლის ტყლაპი (შეგიძლიათ გამოიყენოთ ტყემლის ან პამიდორის მზა საწებელი). ხარშო შეიძლება შეზავდეს ღვინის ძმრით, ამ შემთხვევაში, ტყემალი, ტყლაპი და პამიდორი საჭირო აღარ არის. სუფრაზე მიტანისას ხარშოში ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუშის ფოთოლი ან ქინძი.

თამარ სულაქველიძე

# კარგი და ცუდი ტონი



საქმიანი ქალის გარდერობი თანამედროვე მოდამ მრავალფეროვანი და საინტერესო გახადა. ეს გახლავთ სწორი და ტანზე მოყვანილი ყოველდღიური კაბა, კაბა-კოსტუმი, სარაფანი ბლუზითა და სვიტრით, ქვედა კაბა და კაბა-ჟილეტითა და ბლეიზერით, სადაც ყველა დეტალი ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს და ქმნის ერთიან მოდურ ანსამბლს.

საქმიან გარემოში ტანსაცმელი უნდა იყოს სადა და მოხერხებული, იგი უნდა შეეფერებოდეს გარეგნობას, საქმიან ატმოსფეროს და ტარების მანერას. ყოველდღიური ტანსაცმელი უფერული და მოსაწყენი არ უნდა იყოს. ქალს სამსახურშიც ფაქიზად და მოდაზე უნდა ეცვას.

მაგრამ, რადგან სამსახურში ჩვენ ვატარებთ დღის უმეტეს ნაწილს, ერთნი თვლიან, რომ სამსახურში ყველაფრის ჩაცმა შეიძლება. თუ გამოსასვლელი კაბა მოდიდან გამოვიდა, სამსახურში იცვამენ და ფიქრობენ, რომ მოდურად და მოხდენილად მხოლოდ საზეიმო ვითარებაში უნდა იყვნენ ჩაცმულნი. მეორენი კი პირიქით, სამსახურში იცვამენ ყველაფერ ძვირფასს და საგანგებოს, დადიან ექსტრავაგანტური კაბებით, ძვირფასი სამკაულებით შემკულნი, გადაჭარბებულად მორთულ-მოკაზმულნი, რთული ვარცხნილობით და მკვეთრი გრიმით, ორივე შემთხვევა უგემოვნების და ცუდი ტონის მაჩვენებელია.

სამუშაო გარემოსთვის შესაფერისი, ლამაზი და მოხერხებული ტანსაცმელი კი თვალს ახარებს, ქალს ხალისს მატებს და საქმიან განწყობილებას უქმნის.

ლ. ხვედელიძე

გარეკანის პირველ გვერდზე — „სიმღერა". მხატვარი მანანა გოგოხიძე; მეოთხე გვერდზე — ბორჯომი, საბაგირო გზა.


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთა მმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 4/X-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/X-73 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზი კური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3

ტირაჟი 125.600. შეკვ. 2934 უე 13605 ფასი 80 კაპ.

# პარაშუტისტი, მეკავშირე, მხატვარი



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ოფიცერთა სახლთან არსებულ სამხედრო დიდების ისტორიის მუზეუმში ინახება ფერადი ძაფებით ამოქარგული რუკა, რომელიც ლეგენდარული მე-11 არმიის საბრძოლო გზას ასახავს.

რუკა დედნიდან გადმოიღო და ფერებში აამეტყველა პირველმა პარაშუტისტმა ქალმა საქართველოში ნინო პუშჩინა-გელაშვილმა. მან ეს უნიკალური ექსპონატი საჩუქრად მიუძღვნა მუზეუმს „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავზე.

ზოგიერთ მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ნინო გელაშვილი ჟურნალ „მშრომელი ქალის“ 1935 წლის აგვისტოს ნომრის გარეკანზე იყო აღბეჭდილი თავისი პარაშუტით. სწორედ პარაშუტით ხტომამ გახადა ცნობილი მისი სახელი.

ნინო პუშჩინა-გელაშვილმა 1934 წელს თბილისის საალმშენებლო ტექნიკუმი დაამთავრა, მიიღო ხიდისა და გვირაბის მშენებლის პროფესია და სოხუმში, შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობაზე გაგზავნეს ტექნიკოსად. აქ იგი კარგი მუშაობისათვის დამკვრელის სიგელით დააჯილდოვეს.

ერთი წლის შემდეგ ნინო თბილისში დაბრუნდა და ახლადგახსნილი აეროკლუბის მსმენელი გახდა — გადაწყვიტა საპარაშუტო სპორტს დაუფლებოდა. მისმა პირველმა გადმოხტომებმა მალე მიიქცია საზოგადოების ყურადღება.

გავიდა ხანი. ერთხელ ღამით 1000 მეტრის სიმაღლიდან ხტომა დაინიშნა. ნინოს პარაშუტმა პირველმა გაიელვა სიბნელეში. ამ ხტომისათვის მან ამიერკავკასიის მთავრობის მადლობა დაიმსახურა.

1935 წელს ჟურნალმა „რაბოტნიცამ“ თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა ყველა პროფესიის პირველ წარმომადგენელ ქალთა ფოტოსურათები და ბიოგრაფიები. მათ შორის ნინო გელაშვილის სურათი და ბიოგრაფიული ცნობებიც იყო.

„ახალგაზრდა კომუნისტმა“ იმავე წელს, 11 ივლისის ნომერში ორი გვერდი დაუთმო მამაცთა სპორტის წარმომადგენლებს. მათ შორის ნინოც არის წარმოდგენილი. იგი გადაღებულია ვეებერთელა გუმბათის ქვეშ. გაზეთში გამოქვეყნებულია მისივე წერილი „არის ვუპატაკებ უფროსს“.

შემდეგში ნინომ მუშაობა დაიწყო ინსტრუქტორად და ბევრ ახალგაზრდას შეაყვარა პარაშუტით ხტომა.

სპორტისადმი მისი სიყვარული პარაშუტით არ შემოფარგლულა. 1938 წელს ავტო-მოტო-ველო კურსები დაამთავრა და ქალთა პირველ გადარბენაში მიიღო მონაწილეობა. სროლაშიც დაწინაურდა და ვოროშილოვისებური მსროლელის ნიშანი მოიპოვა, მერე კი მოსკოვში, უმაღლეს საპარაშუტო სკოლაში გაგზავნეს, რომელიც წარმატებით დაამთავრა. აეროკლუბში საფრენოსნო კურსებზე კი ფრენის საიდუმლოებას დაეუფლა.



სამამულო ომი რომ დაიწყო, ნინო გელაშვილი მეკავშირედ გაიგზავნა მტრის ზურგში. გერმანელების მიერ ოკუპირებულ ნალჩიკში კონსპირატიულად ცხოვრობდა, რაც იოლი როდი იყო.

გამარჯვებით დამთავრდა ომი. ნინო თბილისში დაბრუნდა. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განაგრძო სწავლა, მერე კი ხანგრძლივად ჩამოშორდა ყველაფერს. მეუღლის, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის ყარამან გელაშვილის ხანგრძლივმა ავადმყოფობამ ოჯახს მიაჯაჭვა. სამაგიეროდ, კვლავ სპორტული გატაცებით შეუდგა ახალ საქმიანობას — მხატვრულ ქარგვას. მისი ნახელავი — „ლენინი III ყრილობის დელეგატი“ — ორმეტრიანი ტილო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალს ამშვენებს. ნინოს ნამუშევრებს ნახავთ პიონერთა ბანაკებში, თბილისის სკოლებში. ისტორიულ თემებზე შექმნილი მისი ტილოების უმრავლესობა სამხედრო ისტორიის მუზეუმშია თავმოყრილი. აქ დამთვალიერებელი ნახავს: „ლენინს“, „ლენინი კითხულობს „პრავდას“ — ივანოვის ნახატის მიხედვით, „გლეხები ლენინთან“ — სეროვის მიხედვით, „ბორის ძნელაძეს“ და სხვა.



გარდა ამისა, ნინოს შესრულებული აქვს: „უცნობი ქალი“ — კრამსკოის მიხედვით, „ქალი კარებთან“—რაჩკოვის მიხედვით, „ერეკლე მეფის თათბირი“ — მოსე თოიძის ნახატის მიხედვით, „ბოშა“ და სხვა. მაგრამ ყოველ ნამუშევარს ნინოსეული სიცოცხლე, ახალ ფერთა შერწყმა ახასიათებს, დიდი გემოვნება და საკუთარი ფანტაზია ახლავს.

„სევასტოპოლის გმირები“, „საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოში“ — ასეთია მისი მომავალი დიდი ტილოების თემები.

დოდო დონაძე



ИНДЕКС 76178